პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

№ 209 (11515)
სამშაბათი
8
სექტემბერი
1959 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 20 კაპ.

## პოლონელი მეგობრების პატივსაცემად

5 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლის დიდ სასახლეში გამართა საუზმე მოსკოვში მყოფი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარე ს. ენდრიხოვსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ვ. ტრომპჩინსკი და სხვები.

საუზმეზე იყვნენ ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ი. კირიჩენკო, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. თ. ზასიადკო, მინისტრები ა. ა. გრომიკო, ნ. ს. პატოლიჩევი და სხვები.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ი. ცირანკევიჩმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს. (საკდესი).

## ნ. ხრუშჩოვი

# მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ

ამბობენ, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხზე ამჟამად მიპყრობილია ბევრ ამერიკელთა და არა მარტო ამერიკელთა ფიქრები. თანაარსებობის საკითხი, განსაკუთრებით ჩვენს დროს, უკლებლივ ყველა ადამიანს აინტერესებს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მსოფლიოში კოლოსალური ცვლილებები მოხდა.

მართლაც, სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა მთელი კვირეები უნდა გეცურა ოკეანეზე ერთი კონტინენტიდან მეორემდე და როცა ევროპიდან ამერიკაში ან აზიიდან აფრიკაში მოგზაურობა უაღრესად რთულ საქმედ გეჩვენებოდა. თანამედროვე ტექნიკის მასშტაბებით ჩვენი პლანეტა აღარც თუ ისე დიდია, იქ ამ მხრივ ცოტა არ იყოს სივიწროვეც კი შეიქმნა, და თუ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია მოვაგვაროთ ნორმალური ურთიერთობა მეზობლებთან მჭიდროდ დასახლებულ დაბაში, ეს მით უფრო აუცილებელია სახელმწიფოთა ურთიერთობაში, თანაც ისეთ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ სისტემებს ეკუთვნიან.

თქვენი მეზობელი შეიძლება მოგწონდეთ და შეიძლება არც მოგწონდეთ. თქვენ მოვალე არა ხართ მეგობრობდეთ და სტუმრად დადიოდეთ მასთან. მაგრამ თქვენ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობთ, და რას იზამ, თუ არც თქვენ, არც მას ხალისი არა გაქვთ შეჩვეულ ადგილს მოსწყდეთ და სხვა ქალაქში გადახვიდეთ. მით უმეტეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში. გონივრული არ იქნება ივარაუდოთ, რომ მოახერხებთ ისე აწყენინოთ თქვენთვის არასასურველ მეზობელს, რომ იგი გადაწყვეტს გადაბარგდეს სადმე მარსზე თუ ვენერაზე. და, რა თქმა უნდა, პირიქით.

მაშ რა დაგვრჩენია? შესაძლებელია ორი გამოსავალი: ან ომი, — ხოლო რაკეტული ტექნიკისა და წყალბადის ბომბის საუკუნეში ომს უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვება ყველა ხალხისათვის, — ან მშვიდობიანი თანაარსებობა. მოგწონს შენი მეზობელი თუ არ მოგწონს, რას იზამ, როგორღაც უნდა შეეგუო მას, ვინაიდან პლანეტა ერთი გვაქვს.

მაგრამ თვით ცნება მშვიდობიანი თანაარსებობა, როგორც იტყვიან, თავისი მოჩვენებითი სირთულით აშინებს ზოგიერთ ადამიანს, რომლებიც გადაეჩვივნენ ენდობოდნენ მეზობლებს და ყოველ ჩემოდანში ორმაგ ფსკერსა ხედავენ. ამგვარი მოღვაწეები, სიტყვა თანაარსებობას რომ გაიგონებენ, იწყებენ მის გარშემო ყოველნაირად ფუსფუსს, აზომებენ და უფარდებენ მას სხვადასხვა საზომს: მოტყუება ხომ არ არის ეს, მახე ხომ არ არისო? ხომ არ ნიშნავს თანაარსებობა მსოფლიოს გაყოფას მაღალი ღობეებით შემოზღუდულ რაიონებად, რომლებიც არავითარი გზით არ იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი? და რა მოხდება ამ ღობეებს გადაღმაო?

რაც უფრო მეტ ასეთ კითხვას ხელოვნურად ახვავებენ „ცივი ომის“ ოსტატები, მით უფრო უჭირს რიგით ადამიანს გაერკვეს მათში. ამიტომ დროული იქნება ახლა საკითხის არსი ყოველივე ზედმეტისაგან გამოვყოთ და ვცადოთ ფხიზლად შევხედოთ თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემას, როგორიც არის მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი.

* * *

საჭირო არ არის ღრმად შევიჭრათ ისტორიის ტევრში, რომ გავიგოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფას. თუმცა უადგილო არ იქნება ვთქვათ — თავის დროზე ევროპელები ბევრს მოიგებდნენ, უაზრო ჯვაროსნულ ლაშქრობათა ნაცვლად, რომლებიც მუდამ მარცხით მთავრდებოდა, რომ მოეხერხებინათ მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება მუსლიმანური აღმოსავლეთის სხვანაირად მოაზროვნე ხალხებთან.

მივმართოთ შედარებით არაშორეული წარსულის ფაქტებს, როცა სახელმწიფოებს შორის წყალგამყოფი გახდა უკვე არა რელიგიურ რწმენათა და ჩვეულებათა განსხვავება, არამედ გაცილებით უფრო ღრმა და პრინციპული უთანხმოება სოციალური სისტემების არჩევაში. ეს ახალი სიტუაცია წარმოიშვა ოციანი წლების მიჯნაზე, როცა აჯანყებულ მუშებთან და გლეხებთან შეერთებული რუსეთის კრეისერის „ავრორას“ ზარბაზანთა ქუხილში ქვეყნად იშვა ახალი, მანამდე არნახული სოციალური წყობილება — მუშათა და გლეხთა სახელმწიფო.

მის გამოჩენას უკმაყოფილო შეძახილებით შეხვდნენ ისინი, ვინც გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ კაპიტალისტური წყობილება მარადიული და უცვლელი იქნებოდა. ზოგმა ვინმემ ისიც კი სცადა, რომ აკვანშივე ჩაეხრჩო დაუპატიჟებელი ყრმა. ყველამ იცის, რით დამთავრდა ეს — ჩვენმა ხალხმა იარაღით მისცა ხმა საბჭოთა ხელისუფლებას, და იგი დამკვიდრდა. და უკვე მაშინ, 1920 წელს, უპასუხებდა რა ამერიკული გაზეთის „ნიუ-იორკ ივნინგ ჯორნელის“ კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორია საბჭოთა რუსეთსა და ამერიკას შორის მშვიდობის საფუძვლებიო, ვ. ი. ლენინმა განაცხადა: „დაე ამერიკელი კაპიტალისტები ჩვენ ნუ შეგვეხებიან, ჩვენ მათ არ შევეხებით“.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე მშვიდობიანი თანაარსებობა თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად გამოაცხადა. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი სახელმწიფოებრივი აქტი იყო დეკრეტი ზავის შესახებ, დეკრეტი სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტის შესახებ.

რა არის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა?

თავისი უმარტივესი გამოხატულებით იგი ნიშნავს ომზე, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუალებაზე ხელის აღებას. მაგრამ ამით სრულებითაც არ ამოიწურება მშვიდობიანი თანაარსებობის ცნება. გარდა ვალდებულებისა თავდაუსხმელობის შესახებ, იგი წინასწარ განსაზღვრავს აგრეთვე ყველა სახელმწიფო ვალდებულებას არავითარი ფორმით და არავითარი საბაბით არ დაარღვიონ ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი ნიშნავს სხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილების თუ ცხოვრების წესის შეცვლის მიზნით ან რამე სხვა მოტივით მათს საშინაო საქმეებში ჩარევაზე უარის თქმას. მშვიდობიანი თანაარსებობის დოქტრინა აგრეთვე ითვალისწინებს, რომ ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა მხარეთა სრული თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველს უნდა ემყარებოდეს.

**ამერიკულ ჟურნალ „ფორინ აფერსში“ გამოქვეყნებულია ნ. ს. ხრუშჩოვის სტატია „მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ“, რომელიც დაწერილია ამ ჟურნალის რედაქციის თხოვნით.**

**ქვემოთ ქვეყნდება სტატიის ტექსტი.**

დასავლეთში საკმაოდ ხშირად ამბობენ, თითქოს მშვიდობიანი თანაარსებობა სოციალისტურ სახელმწიფოთა ტაქტიკური ხერხია, არც მეტი და არც ნაკლები. ასეთი მტკიცებანი იოტისოდენა სიმართლესაც არ შეიცავენ.

ჩვენი მისწრაფება მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისადმი განპირობებულია არა კონიუნქტურული და არა ტაქტიკური მოსაზრებებით. იგი სოციალისტური საზოგადოების თვით ბუნებიდან გამომდინარეობს. სოციალისტურ საზოგადოებაში არ არიან ისეთი კლასები ან სოციალური ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებული იყონ იმით, რომ ომის საშუალებით გამდიდრდნენ ან სხვისი ტერიტორიები დაიპყრონ და დაიმონონ. საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს თავიანთი სოციალისტური სისტემის მეოხებით განუსაზღვრელი შინაგანი ბაზარი აქვთ და ამიტომაც მათ საფუძველი არა აქვთ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ეწეოდნენ სხვა ქვეყნების დასაპყრობად და თავიანთი გავლენისათვის დასამორჩილებლად.

ხალხი — აი ვინ წყვეტს სოციალისტურ სახელმწიფოთა ბედს. სოციალისტურ სახელმწიფოებს მართავენ თვით მშრომელები — მუშები და გლეხები, ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ქმნიან საზოგადოების ყველა მატერიალურ და სულიერ ფასეულობას. შრომის ადამიანები კი არ შეიძლება ომისაკენ მიისწრაფოდნენ. მათთვის ხომ ომი ნიშნავს უბედურებასა და ცრემლს, სიკვდილს, ნგრევასა და სილატაკეს, უბრალო ადამიანებს ომი არ სჭირდებათ.

წინააღმდეგ იმისა, რასაც ამბობენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ზოგიერთი პროპაგანდისტები, სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა თანაარსებობა არ ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ გაემიჯნებიან ერთმანეთს მაღალი ღობეებით და იკისრებენ ურთიერთ ვალდებულებას — ღობეს იქით ქვას არ უშენდნენ და ლაფს არ ასხამდნენ ერთმანეთს. არა, მშვიდობიანი თანაარსებობა არა მარტო ერთმანეთის გვერდით უბრალო თანაცხოვრებაა, როცა ომი არ არის, მაგრამ მუდამ რჩება იმის საფრთხე, რომ იგი მომავალში წარმოიშვას. **მშვიდობიანი თანაარსებობა შეიძლება იქცეს და უნდა იქცეს მშვიდობიან შეჯიბრებად ადამიანის ყველა მოთხოვნილების საუკეთესოდ დაკმაყოფილების საქმეში.**

ჩვენ ვეუბნებით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მოღვაწეებს: მოდით პრაქტიკაში შევამოწმოთ, ვისი სისტემა სჯობს, მოდით უომრად შევეჯიბროთ ერთმანეთს. ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე იმაში შეჯიბრება, თუ ვინ მეტ იარაღს შექმნის და ვინ ვის დაამარცხებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ და ყოველთვის დავუჭერთ მხარს ისეთ შეჯიბრებას, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა კეთილდღეობის აყვანას უფრო მაღალ დონეზე.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი სრულებითაც არ მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოსაგან, რომ მან ხელი აიღოს მასში მიღებულ წესებსა და იდეოლოგიაზე. თავისთავად ცხადია, ამ პრინციპის მიღება ვერ გამოიწვევს იმ ქვეყნებს შორის გარდუვალი დავისა და წინააღმდეგობის დაუყოვნებლივ მოსპობას, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ სისტემებს ეკუთვნიან. მაგრამ ამასთან უზრუნველყოფილია მთავარი: სახელმწიფოები, რომლებმაც გადაწყვიტეს დაადგნენ მშვიდობიანი თანაარსებობის გზას, უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე, რა ფორმითაც უნდა იყოს, და უთანხმდებიან ერთმანეთს მშვიდობიანად მოაგვარონ შესაძლო დავა და კონფლიქტები დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთი ინტერესების გათვალისწინებით. ეს კი ჩვენს საუკუნეში — წყალბადის და ატომური ტექნიკის განვითარების საუკუნეში მთავარია, რითაც დაინტერესებულია თვითეული ადამიანი.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა, რომელმაც სკეპტიციზმი გამოიჩინა მშვიდობიანი შეჯიბრების იდეის მიმართ, საბჭოთა რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას 1959 წლის აგვისტოში თქვა, საბჭოთა ადამიანების განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ეწინააღმდეგება იმ ლოზუნგებს, რომლებიც საბჭოთა ქარხნების საამქროებშია გამოკრული და კომუნიზმის უსწრაფესი გამარჯვებისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ მოუწოდებსო.

ბურჟუაზიული ქვეყნების წარმომადგენელთა ასეთი მსჯელობა ჩვენ არაერთხელ გვსმენია. ისინი ასე ამბობენ: საბჭოთა ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრენი არიან. ამავე დროს ისინი აცხადებენ, რომ კომუნიზმისათვის იბრძვიან, და იმასაც კი ამბობენ, რომ კომუნიზმი, ყველა ქვეყანაში გაიმარჯვებს. რა მშვიდობიანი თანაარსებობა შეიძლება საბჭოთა კავშირთან, თუ იგი კომუნიზმისათვის იბრძვისო?

ადამიანები, რომლებიც ასე აყენებენ საკითხს, ნებსით თუ უნებლიეთ უთავბოლობას სჩადიან, იდეოლოგიური ბრძოლის პრობლემებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის საკითხში ურევენ. ვინც ასეთ უთავბოლობას სჩადის, ის უფრო იმ სურვილით ხელმძღვანელობს, რომ ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა კავშირის კომუნისტებს და აგრესიული მოქმედების მომხრეებად გამოიყვანოს ისინი. მაგრამ ეს მეტად არაგონივრულია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავის XX ყრილობაზე სავსებით ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ მტკიცებას, თითქოს საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი დაამხოს რევოლუციის „ექსპორტის“ საშუალებით, არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება. არ შემიძლია არ მოგაგონოთ ის სიტყვები, რომლებიც მე სკკპ XX ყრილობაზე ვთქვი. იქ ნათქვამი იყო: „რა თქმა უნდა, ჩვენს შორის კომუნისტებს შორის, კაპიტალიზმის მომხრენი არ არიან. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვერეოდით ან ვაპირებთ ჩავერიოთ იმ ქვეყნების საშინაო საქმეებში, სადაც კაპიტალისტური წესები არსებობს. რომენ როლანი მართალი იყო, როცა ამბობდა, „თავისუფლებას საზღვარგარეთიდან როდი ეზიდებიან ფურგონებით, როგორც ბურბონებსო“. სასაცილოა იმის ფიქრი, რომ რევოლუციები დაკვეთით ხდება“.

ჩვენ, კომუნისტებს, გვწამს, რომ საბოლოო ანგარიშით კომუნიზმის იდეა მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს ისევე, როგორც მან გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, ჩინეთში და ბევრ სხვა სახელმწიფოში. „ფორინ აფერსის“ ბევრი მკითხველი, შესაძლოა, არ დაგვეთანხმოს. შესაძლოა, მათ მიაჩნიათ, რომ საბოლოო ანგარიშით კაპიტალიზმის იდეა გაიმარჯვებს. მათ უფლება აქვთ ასე იფიქრონ. ჩვენ შეგვიძლია ვდავობდეთ, შეგვიძლია არ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს. **მთავარია ვრჩებოდეთ იდეოლოგიური ბრძოლის პოზიციებზე, არ ვხმარობდეთ იარაღს იმისათვის, რომ ჩვენი გავიტანოთ.** საქმე ის არის, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნიკის პირობებში ახლა მსოფლიოში მიუწვდომელი კუთხეები აღარ არის. თუ მსოფლიო ომი გაჩაღდა, ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს როგორღაც აიცილოს გამანადგურებელი დარტყმა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბოლოო ანგარიშით დედამიწაზე ის წყობილება გაიმარჯვებს, რომელიც ხალხებს მეტ შესაძლებლობას მისცემს მათი მატერიალური და სულიერი ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. სწორედ სოციალიზმი ქმნის უმაგალითოდ ფართო პერსპექტივებს ხალხის მასების დაუშრეტელი შემოქმედებითი აღმავლობისათვის, მეცნიერებისა და კულტურის ჭეშმარიტი აყვავებისათვის, იმისათვის, რომ განხორციელდეს ადამიანის ოცნება ბედნიერ ცხოვრებაზე, სადაც არ იქნებიან დაბეჩავებულნი და უმუშევარნი, სასიხარულო ბავშვობაზე, მშვიდ სიბერეზე, ადამიანის ყველაზე შემართებულ და გაბედულ განზრახვათა განხორციელებაზე, ადამიანის იმ უფლებაზე, რომ ქმნიდეს ნამდვილად თავისუფლად, ხალხის ინტერესებისათვის.

მაგრამ როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ორი სისტემის — კაპიტალისტურისა და სოციალისტურის — შეჯიბრებაში ჩვენი სისტემა გაიმარჯვებს, ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ გამარჯვებას მოვიპოვებთ კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის გზით.

ჩვენი რწმენა კომუნიზმის გამარჯვებისადმი სხვაგვარია. იგი დაფუძნებულია საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნაზე. მსგავსად იმისა, როგორც თავის დროზე კაპიტალიზმმა, როგორც უფრო პროგრესულმა წყობილებამ, შეცვალა ფეოდალიზმი, ასევე კაპიტალიზმს გარდუვალად შეცვლის უფრო პროგრესული და უფრო სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება — კომუნიზმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ სოციალისტური წყობილების გამარჯვებაში, იმიტომ რომ იგი უფრო პროგრესული წყობილებაა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ორმოც წელიწადზე ცოტა მეტი ხანია არსებობს, თანაც ამ წლებში ჩვენ გადავიტანეთ ორი უმძიმესი ომი, ვიგერიებდით მტრების იერიშს, რომლებიც დახრჩობას გვპირებდნენ. შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმი საუკუნენახევარზე მეტია არსებობს, თანაც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია ისე წარიმართა, რომ მათი მტრები ერთხელაც არ გადამსხდარან ამერიკის ტერიტორიაზე.

და რას ვხედავთ? სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების დინამიკა ისე წარიმართა, რომ ორმოცდაორი წლის საბჭოების ქვეყანამ უკვე მიიღო შესაძლებლობა ეკონომიურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს ას ორმოცდაათი წლის კაპიტალისტური სახელმწიფო, ამასთან ყველაზე შორსმჭვრეტელი ამერიკელი მოღვაწეები აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირი სწრაფი ტემპებით ეწევა შეერთებულ შტატებს და საბოლოო ანგარიშით გაუსწრებს მათ. ამ შეჯიბრების მსვლელობას თვალყურს რომ ადევნებს, თვითეულ ადამიანს შეუძლია განსაჯოს, რომელი სისტემა სჯობს, და ჩვენ გვწამს, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ხალხი დაადგება სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის გზას.

არ გვეთანხმებით? საქმით დაამტკიცეთ, რომ თქვენი სისტემა უკეთესი და უფრო ეფექტურია, რომ მას შეუძლია უფრო მეტად უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობა, ვიდრე სოციალისტურ სისტემას, რომ კაპიტალიზმის დროს ადამიანი შეიძლება უფრო ბედნიერი გახდეს, ვიდრე სოციალიზმის დროს. ამის დამტკიცება შეუძლებელია. სხვით არაფრით არ შემიძლია ავხსნა ის ფაქტი, რომ დასავლეთში არ წყდება ლაპარაკი კომუნიზმის ძალდატანებით „უკუგდებაზე“. არცთუ დიდი ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ შესაძლოდ მიიჩნიეს მიეღოთ რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს „გაათავისუფლონ“ კომუნიზმის მიერ ვითომც დამონებული სოციალისტური ქვეყნები და, უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკები. რეზოლუციის ავტორები მოუწოდებენ „გაათავისუფლონ“ უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, თურქმენეთი და რაღაც „ურალის ოლქიც“ კი.

მე მთელ სიმართლეს არ ვიტყოდი, თუ არ გაცნობებდით, რომ ავბედითი რეზოლუციის მიღება საბჭოთა ადამიანებმა პროვოკაციულ აქტად მიიჩნიეს. მე ვეთანხმები ასეთ შეფასებას.

სხვათა შორის, საინტერესოა, როგორ გამოეხმაურებოდნენ აღნიშნული რეზოლუციის ავტორები იმას, რომ, მაგალითად, მექსიკის პარლამენტს მიეღო გადაწყვეტილება მოთხოვნით — „ამერიკული მონობისაგან გაათავისუფლონ“ ტეხასი, არიზონა და კალიფორნია? ალბათ ისინი არ ჩაფიქრებიან ასეთ საკითხს და ცუდადაც მოქცეულან. ზოგჯერ შედარება ხელს უწყობს საქმის არსის გაგებას.

საბჭოთა კავშირში რომ მოგზაურობდნენ, ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ არავითარი იმედი არ არსებობს წაჰკიდონ საბჭოთა ადამიანები კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას და ისეთი გავლენა მოახდინონ მათზე, რომ ისინი კომუნიზმის წინააღმდეგ აჯანყდნენ. მაშ როგორღა უნდა გვესმოდეს განუწყვეტელი ცდები აღადგინონ კომუნიზმის „უკუგდების“ პოლიტიკა? რა აქვთ მხედველობაში? სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევა? მაგრამ დასავლეთში ისევე, როგორც აღმოსავლეთში, ადამიანებს ხომ მშვენივრად ესმით, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნიკის პირობებში ამგვარ მოქმედებას დაუყოვნებლივ მოჰყვება ულმობელი სამაგიერო დარტყმა.

ამრიგად, ჩვენ ვუბრუნდებით იმას, რითაც დავიწყეთ: ჩვენს დროში არის მხოლოდ ორი გზა — ან მშვიდობიანი თანაარსებობა, ან ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ომი. მესამე გზა არ არსებობს!

• • •

სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა მოიპოვა იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარება ახალ ფაზაში შევიდა, სწორედ ახლა ჩვენ მივუახლოვდით კაცობრიობის ცხოვრების ისეთ პერიოდს, როცა შეიქმნა რეალური შესაძლებლობა საბოლოოდ და სამუდამოდ მოისპოს ომი საზოგადოების ცხოვრებაში.

რა გზით შეგვიძლია მივაღწიოთ ამას?

საერთაშორისო ძალების ახალი განლაგება, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ახლა ახალი მსოფლიო ომი ფატალური გარდუვალობა აღარ არის, რომ შეგვიძლია იგი თავიდან ავიცილოთ.

ჯერ-ერთი, ჩვენს დროში მშვიდობისათვის აქტიურად იბრძვის არა მარტო ყველა სოციალისტური სახელმწიფო, არამედ აზიისა და აფრიკის ბევრი სახელმწიფოც, რომლებიც დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების გზას დაადგნენ, და ბევრი სხვა სახელმწიფო, რომლებიც აგრესიულ სამხედრო ბლოკებში არ შედიან.

მეორე, მშვიდობის პოლიტიკას ძლიერ უჭერენ მხარს ხალხთა ფართო მასები მთელ მსოფლიოში.

მესამე, მშვიდობისმოყვარე სოციალისტურ სახელმწიფოებს აქვთ ფრიად მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრები, რაც არ შეიძლება შემაკავებელ გავლენას არ ახდენდეს აგრესორებზე.

მეორე მსოფლიო ომის წინ სსრ კავშირი ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა იყო და მის წილად მოდიოდა დედამიწის ტერიტორიის მხოლოდ 17-მდე პროცენტი, მოსახლეობის დაახლოებით 9 პროცენტი და მსოფლიო პროდუქციის დაახლოებით 10 პროცენტი. ჩვენს დროში კი სოციალისტურ ქვეყნებს უჭირავთ დედამიწის ტერიტორიის უკვე დაახლოებით მეოთხედი, ამ ქვეყნებში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის მესამედი, ხოლო სამრეწველო პროდუქცია, რომელსაც ისინი უშვებენ, მსოფლიო წარმოების დაახლოებით მესამედს შეადგენს.

სწორედ ყოველივე ამით აიხსნება ის უცილობელი ფაქტი, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე შესაძლებელი ხდებოდა ჩანასახშივე ჩაგვექრო ომის კერები, რომლებიც წარმოიშობოდა ხოლმე დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე ნაწილში — ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში, შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ხოლო როგორია მომავალი?

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის, აგრეთვე ევროპისა და აზიის სხვა სოციალისტური ქვეყნების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების შედეგად, სოციალისტურ სისტემაში შემავალ სახელმწიფოთა წილად მოვა მსოფლიო პროდუქციის უკვე ნახევარზე ცოტა მეტი. მათი ეკონომიური ძლიერება განუზომლად გაიზრდება, და ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას: მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების მატერიალური ძლიერება და მორალური ძალა იმდენად დიდი იქნება, რომ ყოველმა ომის მოტრფიალე მილიტარისტმა ათჯერ უნდა მოიფიქროს, სანამ ომის დაწყებას გაბედავდეს. კაცობრიობის ბედნიერება ის არის, რომ ამჟამად შეიქმნა თანამეგობრობა სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ახალი ომებით, რადგან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის სოციალისტურ ქვეყნებს მშვიდობა ესაჭიროებათ. სრული თანასწორობის საფუძველზე დამყარებულ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობას ახლა ისეთი ადგილი უჭირავს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში, რომ შეუძლია გავლენას ახდენდეს იმაზე, რომ არ დაუშვას ახალი მსოფლიო ომები.

ამრიგად, პრაქტიკულად ჩვენ უკვე მივუახლოვდით კაცობრიობის ცხოვრების იმ ეტაპს, როცა არაფერი არ შეუშლის ხელს ადამიანებს მთელი ძალები მოახმარონ მშვიდობიან შრომას, როცა სავსებით მოისპობა ომი საზოგადოების ცხოვრებაში.

მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ამჟამად ომის ფატალური გარდუვალობა არ არსებობს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შეგვიძლია განცხრომას მივეცეთ, გულხელი დავიკრიფოთ და მზის ყურეში ვისვენებდეთ, იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ომებს საბოლოოდ მოეღო ბოლო. ვისაც დასავლეთში მიაჩნია, რომ ომი მათთვის ხელსაყრელია, მათ ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი თავიანთ ზრახვებზე. მათ ხელში თავმოყრილია მნიშვნელოვანი მატერიალური ძალები, სამხედრო და პოლიტიკური ბერკეტები, და არავინ არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ ერთ ტრაგიკულ დღეს ისინი არ შეეცდებიან აამოქმედონ ეს ბერკეტები. მით უფრო საჭიროა განვაგრძოთ აქტიური ბრძოლა იმისათვის, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკამ გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში არა სიტყვით, არამედ საქმით.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ პოლიტიკამ ჩვენს დროში არა მარტო უფართოესი მორალური მოწონება დაიმსახურა, არამედ საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარებაც მოიპოვა. სოციალისტური ბანაკის ქვეყნები კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში სწორედ ამ პოლიტიკით ხელმძღვანელობენ. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებმა გამოხატულება ჰპოვეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებში. უფრო მეტიც, ევროპის, აზიისა და აფრიკის ბევრმა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ნ. ხრუშჩოვი

# მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ

(დასასრული)

სახელმწიფომ საქვეყნოდ გამოაცხადა ეს პრინციპი თავისი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად. ბოლოს, მშვიდობიანი თანაარსებობის იდეამ ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-12 და მე-13 სესიათა გადაწყვეტილებებში.

ჩვენი შეხედულებით, მშვიდობიანი თანაარსებობა შეიძლება მტკიცე გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობისათვის ბრძოლის კარგ დეკლარაციებს აქტიური მოქმედებით განამტკიცებენ ყველა ქვეყნის მთავრობები და ხალხები. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მან ამ მხრივ უკვე ბევრი რამ გააკეთა, და მე შემიძლია გაგიზიაროთ ზოგიერთი გამოცდილება.

ჯერ კიდევ 1951 წლის 12 მარტს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია:

„1. ჩაითვალოს, რომ ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი, ძირს უთხრის მშვიდობის საქმეს, ქმნის ახალი ომის საფრთხეს და ამის გამო უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ.

2. ომის პროპაგანდაში ბრალდებული პირნი უნდა მიეცნენ სამართალში და გასამართლებულ იქნან, როგორც მძიმე სისხლის სამართლის დამნაშავენი“.

შემდეგ, საბჭოთა კავშირმა უკანასკნელ წლებში ცალმხრივი წესით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები ორ მილიონზე მეტი კაცით. ამის შედეგად განთავისუფლებული ფულადი თანხები ხმარდება სახალხო მეურნეობის განვითარებასა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირმა გააუქმა თავისი ბაზები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა ატომური იარაღის გამოცდა და თავს იკავებდა გამოცდის წარმოებისაგან, სანამ საბოლოოდ ნათელი არ გახდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვეს მიებაძნათ ჩვენი მაგალითისათვის და განაგრძობდნენ აფეთქებებს.

საბჭოთა კავშირმა არაერთგზის წამოაყენა დეტალურად შემუშავებული, სავსებით რეალური წინადადებანი განიარაღების შესახებ, რომლებიც უახლოვდებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებს, მაგრამ განიარაღების პრობლემის გადასაჭრელად ხომ საჭიროა დასავლეთის პარტნიორების თანხმობა და სურვილი, რომ ანგარიში გაგვიწიონ, ხოლო ჩვენს პარტნიორებს სწორედ ეს აკლდათ.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ამ პირობებში განიარაღების რთული პრობლემის გადაჭრა ერთბაშად ძალიან ძნელია, ჩვენ შევთავაზეთ ჩვენს პარტნიორებს კიდევ ერთი კონკრეტული იდეა: მოდით მთელი ყურადღება მივაპყროთ იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც ყველაზე ადვილია, მოდით გადავდგათ ისეთი თავდაპირველი, ნაწილობრივი ნაბიჯები, რომლებზეც მხარეთა თვალსაზრისი ერთმანეთს დაუახლოვდა.

სავსებით ცხადია, რომ ამჟამად ასეთ საკითხებს ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა. ამ მხრივ მიღწეული ერთგვარი პროგრესი საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ უკვე უახლოეს ხანში დაიდება შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ამ ღონისძიების განხორციელება, რა თქმა უნდა, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება განიარაღების პრობლემის გადაჭრისა და საერთოდ ატომური იარაღის აკრძალვის გზაზე.

რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონტაქტებსა და ურთიერთობას ყველა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, საბჭოთა მთავრობამ რამდენიმე წლის წინათ წამოაყენა წინადადება, მოეწყოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთავრობათა მეთაურების თათბირი, რათა რეალური სინამდვილის გათვალისწინების საფუძველზე და ურთიერთგაგების სულისკვეთების შესაბამისად შეთანხმდნენ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, რომ ამ თათბირს განეხილა ისეთი საერთაშორისო საკითხები, რომელთა გადაჭრისათვის უკვე არის რეალური წანამძღვრები. ჩვენ წინადადებით მივმართეთ დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომ ასეთი მოწესრიგების გზაზე პირველი ნაბიჯის სახით დაგვედო საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და მიგვენიჭებინა დასავლეთ ბერლინისათვის დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის სტატუსი. მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რომ ჩვენ ვხელმძღვანელობდით უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, აღმოვფხვრათ მეორე მსოფლიო ომის ნაშთები.

მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციისა და ორ გერმანულ სახელმწიფოსთან — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი, ჩვენ ყველა საკითხის საკითხად მიგვაჩნია.

მართლაც, ომის შემდეგ უკვე თოთხმეტი წელი გავიდა, გერმანელ ხალხს კი ჯერ კიდევ არა აქვს საზავო ხელშეკრულება. გერმანიასთან საზავო მოწესრიგების გაჭიანურებამ ფართო გასაქანი მისცა დასავლეთგერმანელი მილიტარისტებისა და რევანშისტების საქმიანობის აქტივიზაციას. მათ უკვე გამოაცხადეს თავიანთი აგრესიული გეგმები, მაგალითად, განაცხადეს პრეტენზიები პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიწებზე. ცხადია, გერმანელი რევანშისტები მარტო აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობაზე არ ფიქრობენ, მათ დასავლეთის გზაც იციან. მეორე მსოფლიო ომის ისტორიიდან ცნობილია, რომ ჰიტლერელებმა დასავლეთ ევროპის ოკუპაცია მანამდე მოახდინეს, სანამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ.

მაგრამ განა უკეთესი იქნება ევროპის ხალხებისათვის, რომ იქ იფეთქოს საყოველთაო ომმა, მიუხედავად იმისა, თუ თავისი აგრესიის დასაწყისში რა მიმართულებას აირჩევენ თანამედროვე გერმანელი რევანშისტები. ისტორიის გაკვეთილების უგულებელყოფა არ შეიძლება! ეს ხშირად ტრაგიკულად მთავრდება.

ზოგიერთი ამბობს, საბჭოთა ადამიანები მეტისმეტად გრძნობიერნი არიან, განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ გერმანიას შეუძლია ახლა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებაო.

ვინც ასე აყენებს საკითხს, მას ავიწყდება, რომ დასავლეთი გერმანია ამჟამად მსოფლიო ასპარეზზე გამოდის არა მარტოდმარტო, არამედ ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკის ფარგლებში. იგი ამ ბლოკში პირველხარისხოვან როლს ასრულებს; უფრო მეტიც, ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი თანდათან იქცევა გერმანელი მილიტარისტების ინსტრუმენტად, რომელიც უადვილებს მათ აგრესიული გეგმების განხორციელებას. ამრიგად, სულაც არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ გერმანიას, რომელიც ისარგებლებს თავისი პოზიციებით ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში, შეუძლია პროვოკაციულად გამოიწვიოს ომი, რათა ამ ომში ჩაითრიოს თავისი მოკავშირენი და მთელი მსოფლიო გადასჩეხოს დამანგრეველი ომის უფსკრულში.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, თუ რამდენად დროული და რეალისტურია საბჭოთა მთავრობის ის წინადადებანი, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და მოხდეს დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაცია.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა წინადადებების ზოგი ვინმე მოწინააღმდეგე დასავლეთში აცხადებს, საბჭოთა კავშირს, თუ ის მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეა, ისიც კი უნდა მოვთხოვოთ, რომ ვალდებულება იკისროს ხელუხლებლად დატოვოს ახლანდელი მდგომარეობაო. სხვები კი იმასაც ამბობენ, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდებიან საზავო ხელშეკრულების დადებას ორ გერმანულ სახელმწიფოსთან, ამით ისინი უკან დაიხევენ და საბჭოთა კავშირმა ეს „უკანდახევა“ რაიმე სახით უნდა აანაზღაუროსო.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი მტკიცებანი სრულიად უსაფუძვლოა. საქმე ხომ მეორე მსოფლიო ომის შედეგების ლიკვიდაციასა და საზავო ხელშეკრულების დადებას შეეხება. აქ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ვიღაცამ მოიგო, ვიღაცამ კი წააგო, ვიღაცამ შეიძინა, ხოლო ვიღაცამ დათმო. ყველა დაინტერესებული მხარე პოულობს უფრო მტკიცე საფუძვლებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში საზავო ხელშეკრულების სახით. განა ეს ყველა ხალხის ინტერესებს არ შეესაბამება?

ზოგჯერ, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს, აქა-იქ დასავლეთში იმასაც კი ამბობენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგების ლიკვიდაცია ისეთი ნაბიჯია, რომელიც კი არ ანელებს, არამედ თითქოს ამწვავებს საერთაშორისო დაძაბულობას. ძნელი დასაშვებია, ასეთ რამეს ამტკიცებდნენ ისე, რომ ფარული აზრი არ ჰქონდეთ, როცა ცდილობენ სსრ კავშირის პოლიტიკა, რომელიც მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფას ემსახურება, წარმოსახონ მრუდე სარკით, ისიც კი ამტკიცონ, ეს პოლიტიკა ომს იწვევსო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა პოზიცია გერმანიის საკითხში ყველაზე მეტად შეესაბამება რეალურ სინამდვილეს.

ახლა, ვფიქრობთ, არც ერთი გონივრულად მოაზროვნე მოღვაწე დასავლეთში არ აყენებს არარეალურ მოთხოვნას გერმანიის ეგრეთწოდებული გაერთიანების შესახებ საზავო ხელშეკრულების დადებამდე, რამდენადაც სულ უფრო მეტ პოლიტიკურ მოღვაწეს ესმის, რომ შექმნილ პირობებში გაერთიანება არის პროცესი, რომელიც დამოკიდებულია თვით გერმანელებზე და არა გარედან ჩარევაზე. უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ აშკარა ფაქტით, რომ არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო და რომ თვითონ გერმანელებმა უნდა გადაჭრან საკითხი, თუ როგორ იცხოვრონ. რამდენადაც ეს ორი სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — არსებობს, სწორედ მათთან უნდა დაიდოს საზავო ხელშეკრულება, ვინაიდან ამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი აქტის შემდგომი გაჭიანურება არა მარტო ტოვებს არანორმალურ ვითარებას ევროპაში, არამედ მის გაუარესებასაც იწვევს.

რაც შეეხება გერმანიის ერთიანობის საკითხს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან გერმანია ერთიანი იქნება. მაგრამ არ დაველოდებით რა ამ მომენტს, რადგან ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს, თუ როდის დადგება იგი, გარედან როდი უნდა ჩავერიოთ ამ საშინაო პროცესში, როდი უნდა დავტოვოთ ომის მდგომარეობა, რომელსაც მოსდევს ბევრი საფრთხე და მოულოდნელობა ევროპისა და მთელი მსოფლიო მშვიდობისათვის. მშვიდობის შენარჩუნებისა და ახალი ომის თავიდან აცილების სურვილმა უნდა გადასძლიოს სახელმწიფო მოღვაწეთა ყველა სხვა მოსაზრებას მიუხედავად იმისა, თუ როგორ აზროვნებენ ისინი. გორდიუსის კვანძი უნდა გაიჭრას — საზავო ხელშეკრულებამ მოქალაქეობის უფლება უნდა მოიპოვოს, თუ გვსურს, რომ არ ვეთამაშებოდეთ ცეცხლს, არ უგულებელვყოფდეთ მილიონობით და მილიონობით ადამიანის ბედს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ დასავლეთ ბერლინის საკითხსაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანელმა რევანშისტებმა დასავლეთი ბერლინი გადააქციეს ბაზად თავიანთი მუდმივი ძირგამომთხრელი და დივერსიული საქმიანობისათვის, რომლის მიზანია ომის პროვოცირება. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ყოველგვარ ცდებს — საბჭოთა კავშირს მიაწერონ ის მისწრაფება, რომ ხელთ იგდოს დასავლეთი ბერლინი და თითქოს დაარღვიოს ქალაქის ამ ნაწილის მოსახლეობის ის უფლება, რომ დაიცვას ცხოვრების ახლანდელი წესი. სწორედ ჩვენ, მოვითხოვთ რა დასავლეთ ბერლინში ვითარების ნორმალიზაციას, წამოვაყენეთ წინადადება, გადავაქციოთ დასავლეთი ბერლინი თავისუფალ ქალაქად და დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად უზრუნველვყოთ იქ ცხოვრების იმ წესისა და იმ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, რომელიც ხელსაყრელად მიაჩნიათ დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთ. აქედან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების პოზიციები, თუ მათი განცხადებების მიხედვით განვსჯით, ამ საკითხში ერთმანეთს ემთხვევიან — ისინიც და ჩვენც მოვითხოვთ დასავლეთ ბერლინის დამოუკიდებლობას და იმ წყობის შენარჩუნებას, რომელიც იქ არსებობს.

ამრიგად, დაძლეულ უნდა იქნას მხოლოდ ის სიძნელეები, რომლებიც „ცივმა ომმა“ წარმოშვა, რათა გამოინახოს გზა იმისათვის, რომ მოხდეს შეთანხმება დასავლეთ ბერლინის საკითხსა და უფრო ფართო საკითხზე, იმ საკითხზე, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან. ასეთი გზა შეესაბამება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებს და მშვიდობიან თანაარსებობას, იგი განამტკიცებდა ნდობას სახელმწიფოთა შორის და ხელს შეუწყობდა მტრობისა და ეჭვიანობის თანდათანობით აღმოფხვრას საერთაშორისო ურთიერთობაში.

საბჭოთა წინადადებების განხორციელება ზიანს არ მიაყენებდა დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესებს და არავის არ მისცემდა რაიმე ცალმხრივ უპირატესობას. ამავე დროს გერმანიის საკითხის გადაჭრა ხელს შეუშლიდა მოვლენების საშიშ განვითარებას ევროპაში, აღმოფხვრიდა საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს და დასახავდა ხელსაყრელ პერსპექტივებს სხვა საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად.

საბჭოთა კავშირის წინადადებანი საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის განხილვის საგანი იყო. მინისტრები ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ ჟენევის თათბირმა საკმაოდ დიდი და სასარგებლო მუშაობა გასწია. მხარეთა პოზიციებში მოხდა გარკვეული დაახლოება, და მთელ რიგ საკითხებზე დაისახა შეთანხმების შესაძლებლობა.

ამავე დროს მთელ რიგ საკითხებში კვლავ გვაქვს არსებითი უთანხმოება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს უთანხმოება არ არის ძირეული უთანხმოება, რომელზეც არ შეიძლებოდეს შეთანხმების მიღწევა. თუ ჩვენ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში ჯერ კიდევ გვაქვს უთანხმოება და არ არის მიღწეული შეთანხმება, ეს, როგორც ჩვენ საკმაო საფუძვლით მიგვაჩნია, იმ დათმობათა შედეგია, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები ახდენენ კანცლერ ადენაუერის წინაშე, რომელიც ახორციელებს მილიტარისტულ პოლიტიკას, გერმანელ რევანშისტთა პოლიტიკას. ეს კანცლერ ადენაუერისადმი საშიში ხელშეწყობაა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ დასავლეთ გერმანიის მოკავშირეები ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტით მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის ჩააგონებდნენ კანცლერ ადენაუერს, რომ მისი პოლიტიკა საშიშია მშვიდობის საქმისათვის და საბოლოო ანგარიშით შეიძლება დამთავრდეს გამოუსწორებელი კატასტროფით დასავლეთ გერმანიისათვის.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა კიდევ მეტი უნდა იმუშაონ, რათა გამონახონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი.

ვფიქრობ, რომ სექტემბერში ჩემი გამგზავრება შეერთებულ შტატებში და ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის ვიზიტი საბჭოთა კავშირში შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ აზრთა სასარგებლო გაზიარება, გამოვნახოთ საერთო ენა და იმ საკითხების საერთო გაგება, რომლებიც უნდა გადაიჭრას.

* * *

ამრიგად, ჩვენ კვლავ მზად ვართ ყოველივე შესაძლო გავაკეთოთ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ურთიერთობა, და კერძოდ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა, დაფუძნებული იყოს მეგობრობის საძირკველზე და სავსებით შეესაბამებოდეს მშვიდობიანი თანაარსებობის მოთხოვნებს.

მინდა გავიმეორო სიტყვები, რომლებიც ვთქვი ამასწინანდელ პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში: „თუ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გაუმჯობესდება, ეს უდავოდ გავლენას მოახდენს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზეც, ხელს შეუწყობს საავდრო ღრუბლების გაფანტვას დედამიწის სხვა ადგილებშიც. რასაკვირველია, ჩვენ გვსურს მეგობრობა არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრებთანაც. ამავე დროს ჩვენ გვსურს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ არა მარტო ჩვენთან, არამედ ჩვენს მეგობრებთანაც“.

რაღა გვაკლია კიდევ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები ურღვევი საერთაშორისო ნორმა და ყოველდღიური პრაქტიკა გახდეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობაში?

რასაკვირველია, ამ კითხვაზე შეიძლება სხვადასხვა პასუხის გაცემა. მაგრამ ბოლომდე გულახდილი თუ ვიქნებით, უნდა ითქვას კიდევ აი რა: **საჭიროა ყველამ გაიგოს ის უდავო ფაქტი, რომ ისტორიულ პროცესს შეუქცევადი ხასიათი აქვს.** არ შეიძლება გუშინდელი დღე დავაბრუნოთ! დროა შევიგნოთ, რომ მეოცე საუკუნის მსოფლიო მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიო არ არის, რომ თანამედროვე მსოფლიოში ერთმანეთის გვერდით არსებობს ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემა და რომ სოციალისტური სისტემა, მიუხედავად ყველა თავდასხმისა მის წინააღმდეგ, იმდენად განმტკიცდა, ისეთ ძალად გაიზარდა, რომ ძველის დაბრუნება უკვე შეუძლებელია.

უკანასკნელი ათი წლის სინამდვილის რეალურმა ფაქტებმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ კომუნიზმის „უკუგდების“ პოლიტიკას შეუძლია მხოლოდ მოწამლოს საერთაშორისო ვითარება, გააძლიეროს დაძაბულობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, ხელი შეუწყოს „ცივ ომს“. არც მის შთამაგონებლებს, არც მის განმახორციელებლებს არ ძალუძთ უკუღმა შეატრიალონ ისტორიის განვითარება და აღადგინონ კაპიტალიზმი სოციალისტურ ქვეყნებში.

ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ ამერიკელები რეალისტურად მოაზროვნე ადამიანები არიან. მით უფრო გვაკვირვებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ არიან ისეთი მოღვაწენი, რომლებიც კომუნიზმის „უკუგდების“ პოლიტიკის აშკარა დამარცხების მიუხედავად ჯიუტად იცავენ თავისას. განა დრო არ არის, რომ საღად შევაფასოთ მოვლენები და გამოვიტანოთ დასკვნები უკანასკნელი თხუთმეტი წლის გაკვეთილებიდან? ნუთუ ვინმესათვის დღემდე ნათელი არ არის, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, სამხედრო ხარჯების მკვეთრად შემცირებას და უდიდესი მატერიალური რესურსების განთავისუფლებას, რომლებიც მოხმარდებოდა სხვა, უფრო გონივრულ მიზნებს?

ამას წინათ ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ბერნალმა მოიყვანა ასეთი ციფრები: საერთო საშუალო ყოველწლიურმა ხარჯებმა მთელ მსოფლიოში სამხედრო საჭიროებისათვის 1950 წლიდან 1957 წლამდე შეადგინა უზარმაზარი თანხა — დაახლოებით 90 მილიარდი დოლარი წელიწადში. რამდენი ქარხნისა და ფაბრიკის, სახლისა და სკოლის, საავადმყოფოსა და ბიბლიოთეკის აშენება შეიძლებოდა იმ სახსრებით, რომლებიც ამჟამად ახალი ომის მომზადებაზე იხარჯება! მერე რა სწრაფად წავიდოდა წინ სუსტადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარება, რომ ამ მიზნებისათვის გამოგვეყენებინა თუნდაც ნაწილი სახსრებისა, რომლებიც ახლა სამხედრო საჭიროებისათვის იხარჯება..

* * *

არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას მტკიცე საფუძველი ეძლევა მხოლოდ ფართო, სრულიად შეუზღუდავი საერთაშორისო ვაჭრობის დროს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობის განუვითარებლად არ არსებობს სხვა კარგი საფუძველი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

თუ სიტყვით კი არა, საქმით დავიცავთ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, სავსებით ცხადია, რომ არავითარი იდეოლოგიური უთანხმოება არ უნდა უშლიდეს ხელს ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური კავშირის განვითარებასა და გაფართოებას, ყოველივე იმის გაცვლას, რასაც ადამიანის გენია წარმოშობს მატერიალური წარმოების მშვიდობიანი დარგების სფეროში.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობიდან ცოტა ხნის შემდეგ ჯერ კიდევ ოციანი წლების დასაწყისში დასავლეთის ქვეყნებმა, ეკონომიური დაინტერესებულობის საფუძველზე, დაამყარეს სავაჭრო ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასთან, მიუხედავად უმწვავესი იდეოლოგიური უთანხმოებისა საბჭოთა სახელმწიფოსთან. მას შემდეგ ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შედარებით მოკლე პერიოდებს, განუხრელად ვითარდებოდა. ვერავითარმა იდეოლოგიურმა უთანხმოებამ ვერ შეუშალა ხელი, მაგალითად, საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის მნიშვნელოვან გაფართოებას ინგლისთან ამ უკანასკნელ წლებში, აგრეთვე დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან.

ჩვენ არ ვმალავთ, რომ გვსურს დავამყაროთ ნორმალური სავაჭრო და საქმიანი ურთიერთობა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ისე, რომ არ იყოს არავითარი შეზღუდვა, არავითარი დისკრიმინაცია.

გასული წლის ივნისში საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიმართა წინადადებით ჩვენს ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ. ჩვენ დავსახეთ ფართო და კონკრეტული პროგრამა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის გაშლისა ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე. ჩვენი წინადადებების მიღება, ეჭვი არ არის, შეესაბამებოდა ორივე სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს. მაგრამ ამ წინადადებებმა ჯერჯერობით ვერ ჰპოვა საჭირო განვითარება.

ცდილობს რა მიაღწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სავაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაციას, საბჭოთა კავშირი არ ისახავს რაიმე განსაკუთრებულ ინტერესებს. ჩვენს ეკონომიურ განვითარებაში ჩვენ მთლიანად ვეყრდნობით ჩვენი ქვეყნის შინაგან ძალებს, ჩვენს საკუთარ რესურსებსა და შესაძლებლობებს. ეკონომიკის შემდგომი განვითარების მთელი ჩვენი გეგმები შედგენილია იმ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენ გვაქვს. ისევე როგორც წინათ, ახლაც ჩვენ ამ გეგმებს ვადგენთ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებისა და ძალების შესაბამისად. ვივაჭრებთ თუ არა დასავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც, — ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის სამეურნეო გეგმების განხორციელება ოდნავაც არ შეფერხდება.

და, მიუხედავად ამისა, თუ ჩვენ გვსურს გავაუმჯობესოთ ქვეყნებს შორის ურთიერთობა, საჭიროა აღმოვფხვრათ ყველა დაბრკოლება საერთაშორისო ვაჭრობაში. ვისაც სურს მშვიდობიანი თანაარსებობა, მას არ შეუძლია არ მოითხოვდეს სავაჭრო, ეკონომიური და საქმიანი ურთიერთობის განვითარებას. მხოლოდ ამ საფუძველზე შესაძლებელია საერთაშორისო ცხოვრების ნორმალური განვითარება.

მშვიდობიანი თანაარსებობა ერთადერთი გზაა, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს. მისი უარყოფა თანამედროვე პირობებში ნიშნავს იმას, რომ მთელ მსოფლიოს განუმზადო საშინელი, გამანადგურებელი ომი, მაშინ როცა არის მისი თავიდან აცილების სრული შესაძლებლობა.

ნუთუ კაცობრიობა, რომელმაც თავის განვითარებაში მიაღწია იმ დონეს, როცა შეძლო მოეხდინა უდიდესი აღმოჩენები და გადაედგა პირველი ნაბიჯები კოსმოსში, ვერ შეძლებს თავისი გენიის კოლოსალური მიღწევები მოახმაროს მტკიცე მშვიდობის შექმნას, ადამიანთა კეთილდღეობას და არა ახალი ომის მომზადებასა და იმის მოსპობას, რაც მათი შრომით შექმნილა მრავალი ათასი წლის მანძილზე? გონებას ეს ვერ დაუჯერებია, იგი პროტესტს აცხადებს.

საბჭოთა ადამიანები აცხადებდნენ და აცხადებენ, რომ მათ არა სურთ ომი. თუ საბჭოთა კავშირს, მის მეგობარ ქვეყნებს თავს არ დაესხმიან, ჩვენ არასოდეს და არავითარ იარაღს არ გამოვიყენებთ არც ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, არც რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენ არც ჩვენთვის, არც სხვა ხალხებისათვის არა გვსურს ომის საშინელებანი, ნგრევა, უბედურება, სიკვდილი. ჩვენ ამას ვამბობთ არა იმიტომ, რომ გვეშინია ვისიმე, — ჩვენს მეგობრებთან ერთად ჩვენ შეკავშირებული და ძლიერი ვართ ისე, როგორც არასოდეს. მაგრამ სწორედ ამიტომ ჩვენ ვამტკიცებთ: ომი შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ და კიდევაც უნდა ავიცილოთ. სწორედ იმიტომ, რომ გვსურს ვიხსნათ კაცობრიობა ომისაგან, ჩვენ მოვუწოდებთ დასავლეთის სახელმწიფოებს მშვიდობიანი და კეთილშობილური შეჯიბრებისაკენ, ჩვენ ვეუბნებით ყველას: მოდით დავუმტკიცოთ ერთმანეთს ჩვენი სისტემების უპირატესობა არა მუშტით, არა ომით, არამედ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრებით მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში.

რაც შეეხება ამა თუ იმ სახელმწიფოს სოციალური წყობილების საკითხს, ეს თვითეული ქვეყნის ხალხის საშინაო საქმეა. ჩვენ მუდამ ვემხრობოდით და ვემხრობით სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. ჩვენ ამ პოზიციებზე ვიდექით და ვიდგებით. ის საკითხი, თუ, რა წყობილება იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში ან სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, არ შეიძლება გადაჭრან სხვა ხალხებმა ან სახელმწიფოებმა. ამ საკითხის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ თვით ამერიკელ ხალხს, მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის ხალხს და კიდევაც გადაჭრის მას.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები არსებობენ, — ეს რეალური ფაქტია. რეალურია ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა კაპიტალისტური ქვეყნები ცხოვრობენ სხვა საზოგადოებრივ პირობებში, კაპიტალიზმის პირობებში. მოდით ვაღიაროთ ეს რეალურად არსებული მდგომარეობა და დავეყრდნოთ მას, რათა არ წავიდეთ სინამდვილის წინააღმდეგ, თვით ცხოვრების წინააღმდეგ, ნუ ვეცდებით შევცვალოთ ეს მდგომარეობა გარედან ჩარევის გზით, სახელმწიფოთა ერთიმეორის წინააღმდეგ ომის საშუალებით.

ვიმეორებ, არის მხოლოდ ერთი გზა მშვიდობისაკენ, ერთი გამოსავალი შექმნილი დაძაბულობიდან — მშვიდობიანი თანაარსებობა.

## მოსკოვიდან გაემგზავრა პოლონეთის მთავრობის დელეგაცია

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის მეთაურობით, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის სამრეწველო გამოფენის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად, 5 სექტემბერს გაემგზავრა სამშობლოში.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ შერემეტიევის აეროდრომზე ი. ცირანკევიჩი და სხვა პოლონელი მეგობრები გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ნ. კოსიგინმა და ა. თ. ზასიადკომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და სხვებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ტ. გედე და საელჩოს თანამშრომელნი.

(საკდესი).

# ჩვენს დიდ სამშობლოში

## ჯილდო ღირსეულთ

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება. საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. ი. კოტოვმა წაიკითხა დადგენილება საბჭოთა საზოგადოებრივი მოღვაწეების დიდი ჯგუფის დაჯილდოების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვერცხლის მედლებითა და საპატიო სიგელებით მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის ათი წლისთავთან დაკავშირებით.

ვერცხლის მედლით დაჯილდოებულთა შორის არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ა. ალექსანდროვი, გაზეთ „იზვესტიას" მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. გ. ბლაჟენოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ა. გერასიმოვი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. პ. მარესიევი, აკადემიკოსები ა. ნ. ნესმეიანოვი, მ. ბ. მიტინი, ა. ვ. ტოპჩიევი, ნ. ვ. ციცინი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ბ. ნესტეროვი, მწერლები მ. ა. შოლოხოვი, ა. ე. კორნეიჩუკი, ნ. ს. ტიხონოვი, კ. ა. ფედინი, ი. გ. ერენბურგი, კომპოზიტორები დ. დ. შოსტაკოვიჩი, ა. ხაჩატურიანი და სხვები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დავალებით დაჯილდოებულებს მედლები და საპატიო სიგელები გადასცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანმა პროფესორმა ვ. მ. ჩხიკვაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მაღალი ჯილდოები საბჭოთა საზოგადო მოღვაწეებს მიენიჭათ თვალსაჩინო წვლილისათვის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

კრების დასასრულს გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ვ. ობრაზცოვი და მოსკოვის ქარხანა „ნამგალი და უროს" უხუცესი მუშა ი. ი. ტურტანოვი, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საბჭოთა საზოგადოებრივი მოღვაწეების მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვერცხლის მედლებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოებისათვის. (საკდესი).



სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მთავარი სამშენებლო მექანიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა ინჟინერ ა. ლობოვის პროექტის მიხედვით შექმნა ორიგინალური მანქანა — ბიჯი კოშკური ამწე. ეს ამწე აგებულია რჟევის მექანიკურ ქარხანაში.

ასეთი მექანიზმი ახალი სიტყვაა მსოფლიოს სამშენებლო ტექნიკაში. ახალი ამწის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მისი გადაადგილება როგორც რელსებზე, ისე გრუნტზე.

**სურათზე:** ბიჯი კოშკური ამწე კტს-5-10 ქალაქ ლიუბლინოს სამშენებლო მოედანზე.

ფოტო ა. სერგეევ-ვასილიევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## სწავლობენ მზის ატმოსფეროს

**ლენინგრადი,** 5 სექტემბერი. (საკდესი). ცნობილია, რომ მზის აქტივობის პერიოდში მთელი რიგი საინტერესო მოვლენები ხდება. ერთ-ერთი მათგანი არის ქრომოსფერული ფეთქება, რომელსაც, კერძოდ, თან ახლავს ინტენსიური რადიოგამოსხივება, ეგრეთწოდებული „ფრქვევა". ეს „ფრქვევა" დაკავშირებულია მზის აქტივობის სხვა გამოვლინებებთან.

უახლესი აპარატურის მეოხებით მეცნიერებს ახლა შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ მზის ატმოსფერო. მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანს რადიოტელესკოპის საშუალებით, რომელიც მუშაობს ტალღების სამ სანტიმეტრიანი დიაპაზონით და აღჭურვილია განსაკუთრებული მოწყობილობებით, პულკოვოს ობსერვატორიის ასტრონომმა ა. ფ. დრავსკიხმა შეძლო განეხორციელებინა მზის რადიოგამოსხივების „ფრქვევის" ასამდე დაკვირვება. ამისათვის გამოიყენეს ორიგინალური მეთოდიკა, რომელიც პულკოვოში შეიმუშავეს პროფესორ ს. ე. ხაიკინის ხელმძღვანელობით. ამის შედეგად აღმოჩნდა, რომ მზის გამოსხივების „ფრქვევის" სპექტრს მეტად ნაზი სტრუქტურა აქვს. შეძლეს აგრეთვე დაედგინათ ამ სპექტრის ხასიათის ცვლილებანი.

## გამოფენა დაათვალიერა 500 ათასმა კაცმა

გამოფენის „ჩეხოსლოვაკიის მინის" დირექციამ საჩუქარი გადასცა გამოფენის მეხუთასიათასე დამთვალიერებელს. იგი აღმოჩნდა ძერჟინსკის სახელობის კომბინატის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" მუშა, მქსოველი — მრავალდაზგოსანი ა. გ. კარნაუხოვა. მას გადაეცა დიდი ბროლის ხილის ვაზა, რომელმაც მსოფლიო გამოფენაზე ბრიუსელში პირველი პრემია მიიღო.

ამხ. კარნაუხოვამ მხურვალე მადლობა გადაუხადა ჩეხოსლოვაკელ მეგობრებს ასეთი მოულოდნელი სიურპრიზისათვის და სთხოვა მათ გადასცენ ჩეხოსლოვაკიის მინის ოსტატებს, რომ იგი აღტაცებულია მათი ხელოვნებით, რომელიც ესოდენ ამშვენებს ადამიანთა ცხოვრებას.

მრავალრიცხოვან მშრომელთა თხოვნით სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ ჩეხოსლოვაკიის მინის გამოფენის ვადა გააგრძელა 1959 წლის 10 ნოემბრამდე.

# ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართვა

პრაღა, 6 სექტემბერი

## „ყველა ქვეყნის ყველა ჟურნალისტისადმი

პატივცემულო კოლეგებო! 8 სექტემბერს ბევრ ქვეყანაში აღინიშნება ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე. ამ დღეს — 16 წლის წინათ —1943 წლის 8 სექტემბერს ნაცისტთა ხაფანგებში ავაზაკურად მოკლეს ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი იულიუს ფუჩიკი, რომელიც მსოფლიოში ცნობილია თავისი ამაღელვებელი ნაწარმოებით „რეპორტაჟი სახრჩობელადან" და რომლის ცხოვრება და სიკვდილი კეთილშობილური ჟურნალისტური მოვალეობის თავდადებული შესრულების მაგალითია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. კიდევ რამდენმა ასობით და ათასობით ჩვენმა კოლეგამ შესწირა სიცოცხლე ფაშიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლას!

სამწუხაროდ, ომისშემდგომ პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში არ შეწყდა, ხოლო ზოგან გაძლიერდა კიდეც ჟურნალისტთა დევნა, რომლებიც იცავენ იმავე მიზნებს, რასაც იცავდნენ მამაცური სიკვდილით დაღუპული მათი კოლეგები. უხეშად გათელა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში აღნიშნული ადამიანის უფლებანი და პრესის თავისუფლება, ათენის სამხედრო ტრიბუნალმა მრავალი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გაზეთ „ავგის" მთავარ რედაქტორს, საბერძნეთის ეროვნულ გმირს ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემიის ლაურეატს მანოლის გლეზოსს, რომელიც სრულიად უდანაშაულოა მისთვის წაყენებულ ბრალდებებში. გლეზოსმა თავი ისახელა ფაშისტ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მხეცური წამების შემდეგ პატიმრობაში იმყოფება გაზეთ „ალჟე რეპუბლიკენის" მთავარი რედაქტორი ანრი ალეგი, რომელმაც საპყრობილეში დაწერა წიგნი „დაკითხვა" — ეს უმძიმესი საბრალმდებლო აქტი კოლონიზატორული „თავისუფლებების" წინააღმდეგ. მრავალი ათეული სხვა ჟურნალისტი კი დატუსაღებულია იმავე ალჟირის, ტუნისის, კამერუნის (სადაც ამავე დროს დახურულია ადგილობრივი პრესის ყველა ორგანო), სამხრეთ კორეის, სამხრეთ ვიეტნამის, თურქეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპყრობილეებში!

ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ადამიანის უფლებანი და მათ შორის პრესის თავისუფლება, ყველას, ვისი კალამიც ემსახურება სამართლიანობის პროგრესისა და მშვიდობის საქმეს, განაცხადონ მტკიცე პროტესტი ჟურნალისტთა დევნის წინააღმდეგ და მოითხოვონ ყველა დაპატიმრებული კოლეგის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. ჩვენ ძალგვიძს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მივაქციოთ ამ აღმაშფოთებელ უსამართლობას და ვაიძულოთ იგი მთელი თავისი ავტორიტეტით დაუჭიროს მხარი უდანაშაულოდ დაზარალებულთ. ამავე დროს, ყოველმა ჩვენგანმა შეძლებისამებრ უნდა შეიტანოს თანხა ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო ფონდში და მიიღოს მონაწილეობა ამ ფონდის სახსრების შეგროვებაში იმისათვის, რომ მატერიალური დახმარება გაეწიოთ იმათ ცოლებს, ბავშვებსა და ღრმად მოხუც მშობლებს, ვისაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება იმისათვის, რომ იცავდა ყველას უფლებას იყოს თავისუფალი.

მარტო ჟურნალისტთა სოლიდარობას, ამხანაგური ურთიერთობის, კონტაქტებისა და ურთიერთდახმარების დამყარებას ჩვენს წრეში შეუძლია გახწიოს არსებითი სამსახური ჩვენი საკუთარი მატერიალური და მორალური ინტერესების დაცვის დროს. თუ ჩვენ თვითონ არ ვიქნებით გამსჭვალული კეთილმოსურნეობისა და ურთიერთ გაგების სულისკვეთებით, მაშინ როგორღა შევუწყობთ ხელს ხალხთა ურთიერთგაგებას, რისთვისაც არიან მოწოდებული უწინარეს ყოვლისა ჩვენი პროფესიის ადამიანები?

სწორედ ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის მეოხებით, რასაც თავის მხრივ მხარი დაუჭირა მსოფლიო საზოგადოებრიობამ, შესაძლებელი გახდა შეგვეჩერებინა ჯალათის ხელი, რომელიც აღიმართა მანოლის გლეზოსის წინააღმდეგ, ახლა კი მხოლოდ გერმანელმა კოლეგებმა შეაგროვეს ექვსი მილიონი ხელმოწერა იმ მოთხოვნაზე, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ იგი. სწორედ ამხანაგური ურთიერთდახმარების მეოხებით შეიქმნა ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის ჯერჯერობით პატარა ფონდი, რომელსაც ათასობით ჟურნალისტი ურიცხავს 8 სექტემბერს მთლიანად ან ნაწილობრივ თავის დღიურ ხელფასს და საქვეყნოდ აგროვებს თანხებს, რომელიც განკუთვნილია დევნილი კოლეგებისა და მათი ოჯახების გაჭირვებული მდგომარეობის შესამსუბუქებლად, აგრეთვე ჟურნალისტთა იმ ჯგუფებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ საგანგებო მატერიალური დახმარება სტიქიური უბედურების, გაზეთების, დეპეშათა სააგენტოების დახურვისა და სხვა პირობებში.

და ბოლოს, ჟურნალისტთა სოლიდარობისა და ურთიერთ დახმარების მეოხებით სარეკორდო მოკლე ვადაში —ერთ წელზე ნაკლებ დროში — აშენდა, მოწყობილი და გახსნილია მსოფლიოში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ჟურნალისტთა საერთაშორისო სახლი. ამ შესანიშნავ სახლში, რომელიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშვენიერ საკურორტო კუთხეში — ვარნაში მდებარეობს, შავი ზღვის ნაპირზე, ყოველ ჟურნალისტს ყოველი ქვეყნიდან, რომელმაც თავისი კალმით ხელი შეუწყო მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას, შეუძლია მიიღოს ყოველივე აუცილებელი დასვენებისათვის, შემოქმედებითი საქმიანობისა და შეხვედრებისათვის. ამით წარმატებით განხორციელდა ერთ-ერთი გადაწყვეტილება ჟურნალისტთა პირველი მსოფლიო შეხვედრისა, რომელიც გაიმართა 1956 წელს ჰელსინკში და რომელშიც მონაწილეობდა 44 ქვეყნის 250 ჟურნალისტი.

ვაცნობებთ რა ამას პროფესიით ყველა კოლეგას, ჩვენ ამავე დროს მოვუწოდებთ მათ ყოველმხრივ გააფართოონ და განამტკიცონ საერთაშორისო თანამშრომლობა, ამხანაგობა და სოლიდარობა, რომელიც ესოდენ საგრძნობ შედეგებს იძლევა. უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ურთიერთობაში დაისახა ერთგვარი გაუმჯობესება. ხალხები, რომლებსაც სწყურიათ მტკიცე მშვიდობა, დიდ იმედებს ამყარებენ ორი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების— ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის მომავალ შეხვედრებზე. ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია ჩვენც, ჟურნალისტებსაც იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ცივი ომის ყინულის უფრო სწრაფად გალხობას და შესაძლებლობა მივცეთ ხალხებს თავისუფლად ამოისუნთქონ.

გააკეთეთ კოლეგებო, ეს კეთილშობილური საქმე! მთელი ჩვენი ტალანტი და გამოცდილება, ჩვენი გულების მთელი მგზნებარება მოვახმაროთ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და საბოლოოდ ლიკვიდაციას, მშვიდობის განმტკიცებასა და ხალხთა ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას. ხომ არ დადგა აგრეთვე დრო, რომ ჩვენ თვითონ, უკლებლივ ყველა ქვეყნის ჟურნალისტები მოვუსხდეთ მრგვალ მაგიდას და ამხანაგურად განვიხილოთ უკანასკნელ წლებში დაგროვებული საკითხები, რომლებიც უკავშირდება ჩვენს დაუდეგარ და ესოდენ პასუხსაგებ პროფესიას!?

ასეთია ზოგიერთი ჩვენი სურვილი და მოსაზრება, რომელნიც გვინდოდა გამოგვეთქვა ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს.

მეგობრული სალმით —

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია".

(საკდესი).

## ქ. თბილისის ჟურნალისტთა კრება

8 სექტემბერს საღამოს 7 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქუჩა № 14) გაიმართება **ქალაქ თბილისის ჟურნალისტთა კრება, მიძღვნილი ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღისადმი.**

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

## ასი წლის მოხუცთა ანსამბლი

**სოხუმი,** 4 სექტემბერი. (საკდესი). დარბაზში გაისმის ძველებური აფხაზური მელოდია. სცენაზე მოცეკვავეებს გამოეყო ერთი შემსრულებელი, შემოხაზა წრე და განაგრძო ცეკვა ფეხის წვერებზე. წამიც არ გასულიყო, რომ მან კიდევ ორი წრე შემოიარა, უჩვენა დამსწრეთ ფეხის წვერებზე ცეკვის შესანიშნავი ტექნიკა და თავის ჯგუფს შეუერთდა. იგი შეცვალა მეორე, მესამე მოცეკვავემ...

მაყურებელნი მხურვალედ უკრავდნენ ტაშს ოსტატებს, რომლებმაც დიდი ტემპერამენტითა და ჭაბუკური ხალისით შეასრულეს ხალხური ცეკვის რთული ნომრები და ილეთები. მკითხველი გაკვირვებული დარჩება, როცა შეიტყობს, რომ ეს მოცეკვავენი იყვნენ სამოცდაათი წლის კონსტანტინე ადამია, შადათ მარხოლია და სხვა მონაწილენი ანსამბლისა, რომელიც აფხაზეთში ცნობილია სახელწოდებით „ასი წლის მოხუცთა ანსამბლი". იგი არის აფხაზეთის ასსრ ხალხური შემოქმედების სახლთან. ანსამბლის შემადგენლობაშია 25 კაცი. მათი საერთო ასაკი 20 საუკუნეს აღემატება. ყველაზე უმცროსი მათში გუდაუთის რაიონის სოფელ ბლაბურხვას კოლმეურნე ჰაკიბა ბარციცი 70 წლისაა, ყველაზე უხნეს კოლმეურნეს ამავე რაიონის სოფელ ლისნიდან ანტონ ფილიას ახლახან შეუსრულდა 111 წელი. ანსამბლის ცხრა შემსრულებელი ას-ასი და მეტი წლისაა.

მრავალფეროვანია ამ არაჩვეულებრივი ანსამბლის რეპერტუარი. იგი ასრულებს თორმეტზე მეტ აფხაზურ ეროვნულ ცეკვას და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ცეკვებს, 60 აფხაზურ ხალხურ სიმღერას. ეს სიმღერები ადიდებენ აყვავებულ, მზიურ მხარეს, იმ დიად გარდაქმნებს, რომლებიც აფხაზეთში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მშვიდობას.

ასი წლის მოხუცთა ანსამბლის შესრულებით შეიძლება მოვისმინოთ სატირული, სახუმარო სიმღერებიც, რომლებშიც გამათრახებული არიან ცუღლუტები და ლოთები, მწვავედ გაკრიტიკებულია საკოლმეურნეო წარმოების ნაკლოვანებები.

## მოსწავლეთა ხელით

**თბილისში,** კარგარეთელის ქუჩაზე ყურადღებას იპყრობს ეზოში ჩამდგარი რიკულებიანი ყვითელი სახლი. მის რკინის ჭიშკარს ლამაზი ასოებით აწერია „სკოლა-ინტერნატი".

ეზოში ფუსფუსებენ წითელყელსახვევიანი პიონერები — ზოგი ბურთს თამაშობს, ზოგი მაგიდის ჩოგბურთს, ზოგი ვარჯიშობს, დარბიან, დანავარდობენ... მაგრამ, ერთი რამ რაც ბავშვებისათვის საერთოდ დამახასიათებელია, არ ისმის ამ სკოლის ეზოში — ჩვეულებრივი ჟივილ-ხივილი, ტკბილი სიმღერები, კისკისი და ჟრიამული.

აქ, ამ კოპწია სახლში სულ სხვაგვარი სამყაროა... ბავშვების სასაუბრო ენაც თავისებურია, სიმღერაც, ჟივილ-ხივილიც.

— სად გაატარე ზაფხული? — ვეკითხებით თმახუჭუჭა გოგონას. იგი ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენი ტუჩების ყოველ მოძრაობას, მშვენივრად იგებს შეკითხვას და გარკვევით გვიპასუხებს.

— კოჯორში ვისვენებდი.

აძლევ სხვა შეკითხვას და კვლავ უშეცდომოდ გიპასუხებთ, მართალია თავისებური, მაგრამ სწორი გამოთქმით. შემდეგ სთხოვთ წაიკითხოს რომელიმე ლექსი და ისიც სიამოვნებით კითხულობს აკაკის „სულიკოს"

აგერ მოდის მეორე პიონერი, ხელში უჭირავს სახატავი რვეული და გიყვებათ, როგორ გაატარა ზაფხული, როდის რა სურათები ჩახატა მასში.

უსმენთ მათ და არ გჯერათ, რომ ხართ ყრუ-მუნჯ ბავშვთა შორის, რომ ეს მოსაუბრე ბავშვები სკოლაში მოსვლამდე მხოლოდ ხელებით და სახის მიმიკით აგებინებდნენ ერთმანეთს თავიანთ სურვილს, ხოლო ახლა სპეციალისტი მასწავლებლების მეტად სერიოზული და ძნელი მუშაობის შედეგად ენა აედგათ და არა მარტო ლაპარაკობენ, არამედ სწავლობენ დედაენას, არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას...

ამ ბავშვებისათვის წელს ყოველმხრივ მოემზადა სკოლა-ინტერნატი. საუკეთესო ოთახები, საწოლები, სამზარეულო, კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო ნივთები დახვდათ მათ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს უფრო ნაყოფიერად ისწავლონ.

სკოლა-ინტერნატის კეთილმოწყობისათვის თვითონ მოსწავლეებიც აქტიურად შრომობენ. ერთი წელია აქ დამლაგებლები თავისუფალნი არიან. თვითონ გოგონები და ყმაწვილები მორიგეობით ალაგებენ ოთახებს. სანიტარული კომისია, რომელიც მოსწავლეებმა გამოყვეს, სისტემატურად ამოწმებს სისუფთავის მდგომარეობას, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო.

სკოლას აქვს სასწავლო სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულად განიმტკიცებენ თეორიულ ცოდნას, ეუფლებიან მათთვის საჭირო სპეციალობას.

ამჟამად თბილისის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ვ. თუმანიშვილი) სწავლობს 175 მოსწავლე. სწავლის მსურველები კიდევ არიან. ამისათვის ყველა პირობა არის — გამოცდილი პედაგოგები, სასკოლო შენობა, სახელოსნოები, კაბინეტები. მაგრამ, რაც მთავარია, ინტერნატისათვის ოთახები არ არის საკმარისი.

სკოლის ეზოში, სადაც ამჟამად სახელოსნოს ერთსართულიანი შენობაა, შესაძლებელია აშენდეს სამსართულიანი სახლი ინტერნატისათვის. მაშინ შესაძლებლობა იქნებოდა რვაწლიანი სწავლების გატარებაც, რაც საშუალებას მისცემდა ყრუ-მუნჯ ბავშვებს ყოველმხრივ მომზადებული მისულიყვნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე წარმოებაში თუ დაწესებულებაში.

კარგი იქნება თუ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ამ მეტად საჭირო საქმეს სათანადო ყურადღებას მიაქცევს.

**ბ. თათარიშვილი.**

## მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმის შესრულება

### 1959 წლის 1 სექტემბრისათვის

ხორცის დამზადების წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 52,6 პროცენტით, რძისა — 82,5 პროცენტით, კვერცხისა — 83,5 პროცენტით და მატყლისა — 60,1 პროცენტით.

1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ პროდუქტების დამზადება შეადგენს: ხორცისა — 123,3 პროცენტს, რძისა — 114,9 პროცენტს, კვერცხისა — 119,6 პროცენტს და მატყლისა — 116,8 პროცენტს.

მეცხოველეობის პროდუქტთა დამზადების წლიური გეგმის შესრულება ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით — პროცენტობით:

| | ხორცი | რძე | კვერცხი | მატყლი |
|---|---|---|---|---|
| ახალქალაქის | 44 | 92 | 109 | 40 |
| ბოგდანოვკის | 55 | 95 | 115 | 50 |
| ახალციხის | 60 | 99 | 109 | 47 |
| ადიგენის | 59 | 91 | 91 | 45 |
| ასპინძის | 86 | 100 | 101 | 44 |
| ხაშურის | 42 | 77 | 87 | 49 |
| ქარელის | 60 | 80 | 89 | 72 |
| გორის | 53 | 85 | 85 | 49 |
| კასპის | 56 | 78 | 76 | 57 |
| ბორჯომის | 78 | 93 | 95 | 37 |
| საგარეჯოს | 24 | 73 | 78 | 63 |
| გურჯაანის | 47 | 91 | 89 | 60 |
| სიღნაღის | 42 | 78 | 79 | 74 |
| წითელწყაროს | 44 | 78 | 92 | 65 |
| თელავის | 54 | 74 | 83 | 59 |
| ახმეტის | 47 | 78 | 72 | 62 |
| ყვარლის | 45 | 68 | 80 | 69 |
| ლაგოდეხის | 66 | 109 | 88 | 58 |
| ქ. თბილისი-სამგორის | 52 | 82 | 77 | 84 |
| მცხეთის | 41 | 97 | 83 | 53 |
| მარნეულის | 42 | 79 | 74 | 43 |
| ბოლნისის | 66 | 86 | 89 | 44 |
| წალკის | 36 | 88 | 69 | 42 |
| დუშეთის | 43 | 75 | 88 | 59 |
| თეთრი წყაროს | 51 | 91 | 89 | 54 |
| დმანისის | 56 | 88 | 84 | 47 |
| თიანეთის | 56 | 85 | 82 | 88 |
| ყაზბეგის | 61 | 71 | — | 59 |
| წყალტუბოს | 58 | 79 | 78 | — |
| სამტრედიის | 75 | 100 | 82 | — |
| წულუკიძის | 61 | 81 | 87 | — |
| ვანის | 51 | 66 | 72 | — |
| მაიაკოვსკის | 49 | 85 | 73 | — |
| ზესტაფონის | 66 | 93 | 80 | — |
| თერჯოლის | 72 | 91 | 85 | — |
| ქალ. ჭიათურა | 76 | 89 | 65 | — |
| საჩხერის | 86 | 106 | 104 | — |
| ორჯონიკიძის | 54 | 88 | 91 | — |
| ტყიბულის | 93 | 99 | 97 | — |
| ონის | 65 | 93 | 71 | — |
| ამბროლაურის | 52 | 89 | 99 | — |
| ცაგერის | 56 | 74 | 83 | — |
| ლენტეხის | 50 | 81 | — | — |
| აბაშის | 53 | 80 | 69 | — |
| ცხაკაიას | 55 | 72 | 87 | — |
| გეგეჭკორის | 63 | 77 | 74 | — |
| ზუგდიდის | 58 | 79 | 72 | — |
| ხობის | 60 | 74 | 76 | — |
| წალენჯიხის | 53 | 78 | 78 | 67 |
| ჩხოროწყუს | 62 | 80 | 69 | — |
| მახარაძის | 84 | 101 | 98 | — |
| ლანჩხუთის | 68 | 80 | 86 | — |
| ჩოხატაურის | 75 | 100 | 103 | — |
| მესტიის | 101 | 91 | — | — |
| ქალ. ფოთი | 50 | 81 | — | — |
| აფხაზეთის ასსრ | 52 | 58 | 85 | 104 |
| სოხუმის | 45 | 40 | 69 | 200 |
| გალის | 59 | 68 | 72 | 9 |
| გაგრის | 59 | 76 | 91 | — |
| გუდაუთის | 49 | 43 | 74 | 6 |
| ოჩამჩირის | 49 | 66 | 72 | 11 |
| აჭარის ასსრ | 71 | 86 | 85 | — |
| ბათუმის | 73 | 88 | 98 | — |
| ქობულეთის | 76 | 91 | 81 | — |
| ქედის | 66 | 85 | 75 | — |
| ხულოს | 70 | 85 | 82 | — |
| შუახევის | 65 | 69 | 87 | — |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 50 | 83 | 71 | 65 |
| სტალინირის | 49 | 89 | 71 | 42 |
| ჯავის | 53 | 68 | — | 52 |
| ლენინგორის | 49 | 85 | 77 | 69 |
| ზნაურის | 50 | 85 | 67 | 5 |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

## ზუგდიდელ მეჩაიეთა გამარჯვება

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა ახალ გამარჯვებას მიაღწიეს. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე 25 დღით ადრე შეასრულეს. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 16.970 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 16.966 ტონისა.

რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

*ვამოწმებთ ვალდებულებათა შესრულებას*

## როცა წარმატებათა უკან ჩრდილოვანი მხარეა

საკოლმეურნეო სოფელში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. შვიდწლედის პირველი წლის საამაყო მაჩვენებლებით დამთავრებისათვის ბრძოლაში ჩაბმული არიან სამხრეთ ოსეთის მშრომელები, რომლებმაც ახალი ვალდებულებები იკისრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. შემოიარეთ ოლქის კოლმეურნეობათა მინდვრებს, ბაღ-ვენახებს, მეცხოველეობის ფერმებს და ყველგან იგრძნობა სოციალისტური შეჯიბრების ცხოველმყოფელი ძალა, ადამიანების ლტოლვა — მკვეთრად გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უკეთ გამოიყენონ მიწის სავარგულები.

ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობა ჩამორჩენილი იყო, ახლა იქ სულ სხვა მდგომარეობაა. წარმატება მიღწეულია საკოლმეურნეო კადრების სწორად შერჩევით და განაწილებით. სოფელმა გზა გაუხსნა მოწინავე ადამიანებს. ბრიგადირებად, ფერმის გამგეებად დააწინაურეს ბეჯითი, შრომისმოყვარე ახალგაზრდები. მას შემდეგ, რაც სოფელს სათავეში ჩაუდგა ს. ფუხაევა, კოლმეურნეობას წინსვლა დაეტყო. საუკეთესოდ გამოიყურება მუგუთის ბაღვენახები, შაქრის ჭარხლის პლანტაციები და სიმინდის ნათესები. მუგუთელები პირნათლად ანაღდებენ ვალდებულებას. 20 აგვისტოსათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებული ჰქონდათ 1.250 კილოგრამი რძე, რაც თითქმის 300 კილოგრამით აღემატება შარშანდელ მაჩვენებლებს. გადაჭარბებით შესრულდა ხორბლის მოსავლიანობის, ხორცის, რძის წარმოების გეგმები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სტალინირის რაიონის სოფლების ერედვის, არცევის, კეხვის, აჩაბეთის, ძარწემის, ლენინგორის რაიონის სოფლების უკანამხარის, წინაგარის კოლმეურნეობები. ისინი ახალ ზღუდეებს იპყრობენ. წინასწარი მონაცემებით სტალინირის რაიონის მშრომელები პირნათლად შეასრულებენ მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ხილის, ყურძნის და ბოსტნეულის გადიდებისათვის შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

სტალინირელებმა შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წლის შვიდ თვეში 4,1 ცენტნერით გაადიდეს ხორცის წარმოება. მიუხედავად ამისა, ხორცის წარმოების დონე კვლავ დაბალია და წლიური დავალება საფრთხეშია. რაიონმა წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე უნდა მიიღოს 40,1 ცენტნერი ხორცი, შვიდ თვეში კი მიღებული აქვს მხოლოდ 18,1 ცენტნერი. დაგვიანებით მოეწყო ღორისა და ფრინველის გასასუქებელი საკოლმეურნეობათაშორისო პუნქტები. ხორცის წარმოების მხრივ ნაკლოვანებებია ლენინგორის რაიონშიც.

ლენინგორელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება, მაგრამ ხორცის წარმოების ვალდებულება (ყოველ 100 ჰექტარზე 42 ცენტნერი) წლის პირველ ნახევარში მხოლოდ სანახევროდ შესრულდა, მაშინ როცა გასუქების საუკეთესო ვადები ამოიწურა. შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს რძის წარმოების ვალდებულებათა შესრულებაც. წველადობა კი ზრდის ნაცვლად კლებულობს. კოლმეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პირუტყვის კვებას, რაციონის გამდიდრებას.

ლენინგორის რაიონში არიან კოლმეურნეობები, რომლებმაც დღემდე ვერ მიაღწიეს ერთ ძროხაზე 500 კილოგრამი რძის მიღებასაც კი. ასეთთა რიცხვს ეკუთვნიან ზემო ზაყორის, წირის, სალბიერის, ყანჩაეთის კოლმეურნეობები. არც პირუტყვის სულადობის გეგმების შესრულებაშია სახარბიელო მდგომარეობა.

წელს ჯავის რაიონში პირველად შეიქმნა პირუტყვის გასასუქებელი საკოლმეურნეობათაშორისო პუნქტები. მაგრამ მარტო ეს ღონისძიება როდი უზრუნველყოფს იმ დიდი ვალდებულების განაღდებას, რაც წელს რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს. პირუტყვის ჯოგის მომრავლება მეტად აუჩქარებლად მიმდინარეობს. კოლმეურნეობებში მოზარდეულის სიკვდილიანობის ფაქტებია, სწორედ ამით აიხსნება, რომ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე შვიდ თვეში ჯავის რაიონში ხორცის წარმოებამ მხოლოდ 15,1 ცენტნერი შეადგინა, ვალდებულება კი 32,2 ცენტნერს ითვალისწინებს. დამაკმაყოფილებელი როდია რძის წარმოებაც. ჯაველები ვალდებულებებს კისრულობენ. ეს ცუდი როდია, მაგრამ სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს.

ზნაურელები, — განაცხადა საუბარში პარტიის ზნაურის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ძაგოევმა, — პირნათლად გაანაღდებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. აღსანიშნავია ზნაურელთა მისაბაძი მაგალითი ღორის ხორცის წარმოებაში. შარშანდელთან შედარებით რაიონმა ერთიორად გაადიდა ღორის სულადობა და სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის მიყიდვა. წარმატებით სრულდება აგრეთვე მსხვილფეხა პირუტყვის გასუქების დავალებანი.

მაგრამ მოწინავე კოლმეურნეობების გვერდით არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომელთა გამგეობები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პირუტყვის სულადობის ზრდას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას.

საერთოდ, სამხრეთ ოსეთში წელს უკეთ მიდის საქმე მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში. მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ მთელი რიგი ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. მაგრამ ვალდებულებანი, რომლებიც წელს ოლქმა მეცხოველეობის დარგში იკისრა, არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ვალია ოპერატიულად უხელმძღვანელონ მეცხოველეობის საქმეს და ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულების პირნათლად განაღდება.

**ი. თედიაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

მახარაძის რაიონის სოფელ ბახვში ძირითადი, წამყვანი დარგი სუბტროპიკული კულტურებია. ეს არის კოლმეურნეთა სიმდიდრის დიდი წყარო; მაგრამ მარტო ამ კულტურებით როდი ამაყობენ ბახველები. თუ წინათ აქ საზოგადოებრივი მეცხოველეობა ყველაზე ჩამორჩენილი იყო, ახლა ეს დარგი აღმავლობის გზაზეა. აქვთ პირუტყვის კარგი, კეთილმოწყობილი სადგომები, გააუმჯობესეს მოვლა-პატრონობა, შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა. ბახველი მეცხოველეები წლითიწლობით ზრდიან ხორცისა და რძის წარმოებას. **სურათზე:** მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



# სტალინგრადისა და დიჟონის მეგობრობა

პარიზი, 6 სექტემბერი. (საქდესი). დიჟონში გაიმართა საფრანგეთის ამ ქალაქსა და საბჭოთა კავშირის ქალაქ სტალინგრადს შორის „მეგობრობის ოქმის" ხელმოწერის ცერემონია. ოქმს ხელი მოაწერეს დიჟონის მერმა, საფრანგეთის ეროვნული კრების უხუცესმა დეპუტატმა ფელიქს კირმა და სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დელეგაციის მეთაურმა ა. ვ. დინკინმა. საზეიმო ცერემონიის დროს ა. ვ. დინკინმა და ფ. კირმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. „სტალინგრადისა და დიჟონის დაძმობილება, თქვა თავის გამოსვლაში დიჟონის მერმა — ერთ-ერთი ყველაზე აღმაფრთოვანებელი მომენტია ჩვენს ცხოვრებაში". თავის მხრივ სტალინგრადის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორი ქალაქის „მეგობრობის ოქმის" ხელმოწერა ადასტურებს და განამტკიცებს საფრანგეთისა და სსრ კავშირის ხალხთა ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობას.

დიჟონის მერმა საბჭოთა დელეგაციას გადასცა სამახსოვრო მედლები, ხოლო სტალინგრადის წარმომადგენელმა ფ. კირს მიართვა ყუთი, რომელშიც იყო მიწა სტალინგრადის ბრძოლის ველიდან.



ჩხოროწყუს რაიონული ცენტრის მშრომელებმა ამ დღეებში მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — ახალი უნივერმაღის კეთილმოწყობილი შენობა. სურათზე: უნივერმაღის ხედი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ვილმანი რწმენას გამოთქვამს

ბერლინი, 5 სექტემბერი. (საქდესი). ადნის სააგენტოს ცნობით, ლაიფციგში გაიმართა ფორუმი, რომელიც მოაწყო მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭომ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი გერმანიის გაერთიანების გზების შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საკითხთა გერმანული ლიგის პრეზიდენტმა პროფესორმა შტაინიგერმა, რომელიც გამოვიდა ფორუმზე, განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანება საერთაშორისო მნიშვნელობის ეროვნული საკითხია. გერმანელმა ხალხმა, აღნიშნა მან, თვითონ უნდა გადაწყვიტოს გერმანიის გაერთიანების საკითხი. ამასთან მთავარია ის, აღნიშნა მან, რომ გერმანია გაერთიანდეს მშვიდობიან საფუძველზე და გამოირიცხოს იმ კატასტროფის განმეორება, რომელიც გერმანიას თავს დაატეხა ჰიტლერმა. კონფედერაციის შექმნა, ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოება და გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ უმილიტარისტებო დასავლეთ გერმანიასთან. ორ გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადებამ შეიძლება შექმნას ამისათვის საჭირო პირობები.

მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა გ. ვილმანმა გამოთქვა რწმენა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი შეხვედრა ეიზენჰაუერთან დასაბამს მისცემს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

# საერთაშორისო ბაზრობა ბრნოში

ბრნო, 5 სექტემბერი. (საქდესი). დღეს ბრნოში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა.

ბაზრობას უკავია 52 ჰექტარი ფართობი. გამოფენის ფართობის ნახევარი დათმობილი აქვს ჩეხოსლოვაკიის საწარმოთა ექსპონატებს. საზღვარგარეთელ მონაწილეთა შორის ყველაზე დიდი ფართობი — 350 კვადრატული მეტრი — უკავია საბჭოთა კავშირს, შემდეგ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, პოლონეთს, ავსტრიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვ. სულ ბრნოს ბაზრობაში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს 30-მდე ქვეყანა.

ბაზრობის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას დაესწრნენ მთავრობის დელეგაცია მთავრობის თავმჯდომარის ვ. შიროკის მეთაურობით, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლნი, უცხოეთის დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის წევრები, მათ შორის სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ვ. შიროკიმ.

საზეიმო სხდომის შემდეგ მისმა მონაწილეებმა დაათვალიერეს ბაზრობის პავილიონები.

# ყოველი მხრიდან

## დაძაბულობის შენელების ნიშნით

ჟენევა, 5 სექტემბერი. (საქდესი). დღეს ჟენევაში მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციის მსოფლიო ფედერაციის მე-14 ასამბლეამ. ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 46 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეროვნულ ასოციაციათა წარმომადგენლებმა.

ასამბლეის მთელმა მუშაობამ ჩაიარა იმ ერთსულოვანი მისწრაფების ნიშნით, რომ ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხისადმი მიძღვნილ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში.

პირველ რეზოლუციაში ასამბლეა აღნიშნავს „დაძაბულობის შენელების საქმეში ამ ბოლო დროს მიღებულ ღონისძიებათა წარმატებას, რომლებიც განხორციელდა, კერძოდ, ნიუ-იორკში საბჭოთა კავშირისა და მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების გამოფენათა გაცვლის გზით", აგრეთვე მიესალმება „ცნობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის ვიზიტების მომავალი გაცვლის შესახებ".

მეორე რეზოლუციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობის ეროვნულ ასოციაციებს წინადადება ეძლევათ „ხელი შეუწყონ ურთიერთ კონტაქტების გაფართოებას, რათა შექმნან ხელსაყრელი ატმოსფერო მათთვის საინტერესო ყველა პრობლემის და, კერძოდ, უატომო ზონების შექმნის საკითხის გადასაჭრელად.

მესამე რეზოლუციაში ასამბლეა სახავს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ დაძაბულობის შემდგომ შენელებას და, კერძოდ, ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის ომისა და ერთა შორის სიძულვილის ყოველგვარი პროპაგანდის შეწყვეტა; მთელი შეიარაღებული ძალების არსებითი შემცირება; ახლანდელი ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შესაბამისი შემცირება; ატომგულის იარაღის სრული ეტაპობრივი გაუქმება და ამავე დროს მისი არსებული მარაგის გამოყენება მშვიდობიანი მიზნებით; მასობრივი მოსპობის იარაღის სრული ეტაპობრივი გაუქმება; სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების შესაბამისი შემცირება და ამრიგად განთავისუფლებული სახსრების გამოყენება ამ სახელმწიფოებში ცხოვრების დონის ამაღლებისათვის და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების დასახმარებლად; საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის ეფექტიანი სისტემის შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით.

პირველი რეზოლუცია ერთობლივად წარადგინეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა, მეორე — პოლონეთისა და ინგლისის დელეგაციებმა, მესამე — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, დანიის, არგენტინისა და ისრაელის დელეგაციებმა. ეს რეზოლუციები მიღებულ იქნა ერთხმად ასამბლეის მონაწილეთა ტაშის გრიალში.

## კიდევ ერთი „ხუმრობა"

ბონი, 5 სექტემბერი. (საქდესი). დასავლეთ გერმანიის პატარა ქალაქ პრიუმში მოხდა შემთხვევა, რომელიც დამახასიათებელია „ცივი ომის" ატმოსფეროსათვის.

დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ პრიუმის პოლიციამ დააპატიმრა „საბჭოთა აგენტი". დაპატიმრებული ამტკიცებდა, რომ იგი ჩამოხტა საბჭოთა თვითმფრინავიდან პარაშუტით 20 ათას მეტრ სიმაღლეზე.

ამ საქმის „გამოკვლევაში" აქტიურად ჩაებნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, მზვერავი ორგანოები, პოლიცია. ამავე დროს ბონის პროპაგანდისტულმა აპარატმა სასწრაფოდ ასტეხა დიდი ხმაური დაწყებული „გამოძიების" მსვლელობაში. მაგრამ ამ ხმაურის ორგანიზატორები იძულებული გახდნენ მალე უკან დაეხიათ და მთელი ეს საქმე დაესახათ როგორც მხოლოდ და მხოლოდ „ხუმრობა". დაპატიმრებული აღმოჩნდა დასავლეთ გერმანიის მცხოვრები ვილჰელმ ფონ იტერი.

## პოლ რობსონი „ლუმანიტეს" დღესასწაულზე

პარიზი, 5 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ გაზეთ „ლუმანიტეს" ტრადიციულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა მსოფლიოში ცნობილი მომღერალი და მშვიდობისათვის მებრძოლი პოლ რობსონი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციამ რობსონის პატივსაცემად დარბაზობა გამართა პარიზის გარეუბან მედონეში, სადაც ამჟამად მთავრდება უკანასკნელი მზადება მომავალი დღესასწაულისათვის. პოლ რობსონმა განაცხადა, უდიდესი სიხარულით მივიღებ მონაწილეობას სადღესასწაულო კონცერტში, რომელიც საფრანგეთის მშრომელთა გაზეთის აღსანიშნავად იმართებაო.

## ლაოსის მთავრობის დივერსია

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. (საქდესი). ლაოსის მეფის მთავრობამ, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიმართა განცხადებით, რომელშიც ამტკიცებს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა თითქოს მონაწილეობს აგრესიაში ლაოსის წინააღმდეგ. ლაოსის მთავრობა სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას „სასწრაფოდ გაგზავნოს ჯარები".

როგორც ცნობილია, ამჟამად ლაოსში შეტაკებები ხდება პატეტ ლაოს პატრიოტული მოძრაობის რაზმებსა და ლაოსის მეფის მთავრობის ჯარებს შორის, მთავრობისა, რომელიც, ჟენევისა და ვიენტიანის შეთანხმებათა მიუხედავად, აგრესიული იმპერიალისტური წრეების წაქეზებით განზრახ ალევებს სამოქალაქო ომს იმ მიზნით, რომ მოსპოს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები — პატეტ ლაოს პატრიოტული მოძრაობის ხელმძღვანელები და წევრები.

ცნობილია აგრეთვე, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა 3 სექტემბერს უარყო ამერიკისა და ლაოსის მეფის ხელისუფალთა მონაჩმორი იმის შესახებ, რომ ლაოსის ტერიტორიაზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარები იმყოფებიან.

ლაოსის მეფის მთავრობის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საჩივრით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და მოწოდება, რომ ლაოსში ჯარები შეიყვანონ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ნაბიჯად, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანონ ლაოსელი ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და ამერიკის შეერთებულ შტატებს მისცენ ლაოსის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევის საბაბი.

# ჩინელ მსახიობთა კონცერტები

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ შეიქმნა, მაგრამ დიდად პოპულარული გახდა თავის ქვეყანაშიც და სახელი გაითქვა საზღვარგარეთაც. ანსამბლს უნარიანად ხელმძღვანელობენ ჩინური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები შენ იავენი და შენ სი-მენი. ანსამბლი მონაწილეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვენის VII მსოფლიო ფესტივალში. ანსამბლის ბევრი მონაწილე იქ დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლებით და ფესტივალის ლაურეატი გახდა.

ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელოდა ჩინური ხელოვნების ჩვენებას. და აი 5, 6 და 7 სექტემბერს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა ჩინური ანსამბლის კონცერტები. კონცერტებზე დიდი მოწონება დაიმსახურა ჩინურმა ცეკვებმა და სიმღერებმა. ძნელია რომელიმე მათგანის გამოყოფა, მაგრამ უნდა აღინიშნოს მეტად საინტერესოდ დადგმული „დრაკონის ცეკვა". კონცერტზე შესრულებულ იქნა სხვა ხალხების სიმღერები და ცეკვებიც, მათ შორის სირიული სიმღერა, რომელიც ანსამბლის მონაწილეებს ხახელდახელოდ შეუსწავლიათ ვენის VII ფესტივალზე. სტუმრებმა იმღერეს აგრეთვე ქართული სიმღერა „ციცინათელა". ყოველი ნომრის შესრულება დამსწრეთა დაუცხრომელ ტაშს იწვევდა. ყოველ ნაწარმოებს თან ახლავს ეროვნულ საკრავთა ჯგუფის შესრულება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 6 სექტემბერს ქალაქ გორში ეწვია ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს. დღისით ანსამბლმა კონცერტი გამართა გორელი მშრომელებისათვის. ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მოეწყო ანსამბლისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კაპელის შეხვედრა.

დღეს, 8 სექტემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სომხეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქში — ერევანში მიემგზავრება.



სურათზე: ჩინელ მოცეკვავე ქალთა ჯგუფი ასრულებს ცეკვას ქოლგებით.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საღამო თბილისში

6 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საღამო. იგი მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — ბულგარეთში ფაშისტური დიქტატურის დამხობის 15 წლისთავის გამო.

საღამო გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ქოჩორაძემ.

საქართველო-ბულგარეთის კულტურული ურთიერთობის შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა მ. კვესელავამ. მან მოიყვანა საინტერესო ფაქტები, მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ ქართველი და ბულგარელი ხალხების დიდი ხნის მეგობრობას, კულტურულ ურთიერთობას, რომლებიც ჩვენს დღეებში კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ხ. ბერულავამ, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ვ. იმედაძემ, კომკავშირის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომის მდივანმა ა. კობალაძემ, უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. გოგუაძემ გაუზიარეს დამსწრეთ ბულგარეთში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებანი.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

# სპორტის ამბები

## საბჭოთა მძლეოსნების გამარჯვება

ინგლისის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი მოსკოვში მიმდინარე წლის ერთ-ერთი საინტერესო შეჯიბრება იყო.

პირველ დღეს, 5 სექტემბერს მოეწყო შეხვედრები სხვადასხვა მანძილზე რბენაში, ბირთვის კვრაში, უროს ტყორცნაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში. წარმატებით გამოვიდა საბჭოთა მძლეოსანი ვ. რუდენკოვი, რომელმაც ურო 67 მეტრსა და 92 სანტიმეტრზე ტყორცნა და ევროპისა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

საინტერესო გამოდგა სპრინტერთა ასპარეზობა. ლენინგრადელმა გ. პოპოვამ სძლია ცნობილ მორბენალს ჰ. იანგს და პირველი ადგილი დაიკავა. მან აჩვენა დრო 11,8 წამი. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის ბრძოლაში ე. ოზოლინმა (სსრ კავშირი) და პ. რედფორდმა აჩვენეს თანაბარი დრო 10,4 წამი. პირველი ადგილი დაიკავა პ. რედფორდმა. მძაფრი ბრძოლით წარიმართა 5.000 მეტრზე რბენა. აქ გამარჯვებული გამოვიდა ს. ელდონი (დიდი ბრიტანეთი). მისი დროა 13 წუთი და 52,8 წამი.

ესტაფეტებში 4×100 მეტრზე ქალთა და ვაჟთათვის პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა მძლეოსნებმა.

პირველი დღის საერთო გუნდური შედეგი იყო 105:75 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

მეორე დღეს, 6 სექტემბერს მოეწყო შეხვედრები სპორტულ სიარულში, ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნასა და მძლეოსნური სპორტის სხვა სახეობებში. 10.000 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო პ. ბოლოტნიკოვი, 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — ა. ვედიაკოვი (1 საათი, 25 წუთი, 57,2 წამი), ბირთვის კვრაში ვაჟთა შორის — ა. ვარანაუსკასი.

ინგლისის, სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მძლეოსანთა ასპარეზობა დამთავრდა. შეჯიბრების საბოლოო შედეგია 205:136 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

## პრეტენდენტთა ტურნირი

6 სექტემბერს ქალაქ ბლედში გაიხსნა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი ჭადრაკში. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოეწყო წილისყრა.

მოჭადრაკეებმა მიიღეს ასეთი ნომერაცია: 1. სმისლოვი, 2. კერესი, 3. პეტროსიანი, 4. ბენკო, 5 გლიგორიჩი, 6. ოლაფსონი, 7. ფიშერი, 8. ტალი.

## სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია

6 სექტემბერს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გამართული საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდებს შორის წარმოადგენდა ძალთა შემოწმებას, გენერალურ რეპეტიციას 27 სექტემბრის მატჩის წინ ევროპის თასზე, რომელიც ბუდაპეშტში შედგება.

მოწინააღმდეგენი თამაშობდნენ თავიანთი ძირითადი შემადგენლობით. სსრ კავშირის ნაკრებში იყვნენ: მეკარე იაშინი; მცველები — კესარევი, მასლიონკინი, კუზნეცოვი; ნახევარმცველები — ვოინოვი, ნეტო; თავდამსხმელები — ა. ივანოვი, ფედოსოვი, ვ. ივანოვი, ბუბუკინი, მესხი.

ბრძოლა საბჭოთა ფეხბურთელების იერიშით დაიწყო და ანგარიშიც მათ გახსნეს. მე-4 წუთზე ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე სტახომ, მაგრამ იქვე ბურთს მოუსწრო ბუბუკინმა და იგი მოწინააღმდეგის კარში გაიტანა. 34-ე წუთზე მესხის დარტყმით ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა. ტაიმი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ 2:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში ჯერ სტუმრებმა, ხოლო შემდეგ ვ. ივანოვმა (მესხის ჩაწოდებით) თითო ბურთი გაიტანეს. მატჩი დამთავრდა სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

დიდი ალმავლობით ჩაატარა შეჯიბრება მესხმა, რომელიც ხშირად უტევდა მარცხენა ფრთიდან, ეფექტური ფინტებით იგი მცველებთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა და საჯარიმო მოედანზე კრიტიკულ მომენტებს ქმნიდა. ტრიბუნიდან გაისმოდა გამამხნევებელი შეძახილები — მესხი! მესხი! მესხი!

• • •

5 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეში თამაშობდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა მეორე ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:2.

## თასი—მახარაძის „კოლმეურნეს"

გასულ კვირადღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ფინალური შეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს თასზე მახარაძის „კოლმეურნისა" და თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს გუნდებს შორის.

როგორც ძირითად, ისე დამატებით დროში მატჩი დამთავრდა ფრედ 1 : 1.

გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ასპარეზობის უკანასკნელ წუთებში მახარაძელმა ფეხბურთელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2 : 1.

მახარაძის „კოლმეურნეს" გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი.

* * *

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოედანზე ადგილი ჰქონდა ხულიგნურ გამოხდომებს. მაგალითად, თბილისელმა რ. ტაბუცაძემ მაყურებელთა თვალწინ ფეხი ჩაარტყა მეკარე ჟორდანიას.



ამ დღეებში თბილისის კომუნარების ბაღი უჩვეულოდ არის მორთული. აქ დაიწყო საშემოდგომო ბაზრობა, რომელშიც ქალაქის თითქმის ყველა სავაჭრო ორგანიზაცია მონაწილეობს.

შესანიშნავად მოუწყვია თავისი სამუშაო უბნები „თბილმრეწვაჭრობას". ერთი ხეივანი მთლიანად ქსოვილებს უჭირავს, მეორე — შეკერილ ტანსაცმელს, შემდეგ — ფეხსაცმელს. დიდებს იწვევს წარწერა — „ყველაფერი ბავშვებისათვის".

მომხმარებელთა უკეთ მომსახურებისათვის ბაზრობაზე მოწყობილია შემნახველი კამერა, ცნობათა ბიურო, გამოყოფილია სპეციალური ავტომანქანა, რომელიც საქონლის შინ მიტანით ემსახურება მშრომელებს.

• • •

სურათზე: ბაზრობა კომუნარების ბაღში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


**დისერტაციის დაცვა**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

აცხადებს, რომ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1959 წ. 16 სექტემბერს დღის 3 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ირინე გრიგოლის ასული ჟღენტი დაიცავს დისერტაციას თემაზე: «Носовые гласные фонемы французского языка (экспериментально-фонетическое исследование)».

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**1959-60 წლის სეზონი შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექცია**

აცხადებს კონკურსს სცენის თანამშრომელთა ვაკანტურ ადგილებზე

კონკურსზე დაიშვებიან ორივე სქესის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ თეატრისათვის საჭირო მონაცემები.

კონკურსის მონაწილეობის მსურველებმა თეატრის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება დირექტორის სახელზე.

განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე.

კონკურსი ჩატარდება 10-12 სექტემბერს.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანცელარიაში.

თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 17, ტელეფონი 3-45-81.

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბებნისის (ქარელის რაიონის) მებაღეობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ერთწლიანი სკოლა**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1959-60 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს მებაღე ტექნიკოსებს.

სკოლაში მიიღებიან საწარმოო ბრიგადის ბრიგადირები და რგოლის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კოლმეურნეობაში მუშაობის საწარმოო გამოცდილება და განათლება არანაკლებ 4 კლასისა, აგრეთვე კოლმეურნეები, რომლებსაც აქვთ განათლება არა ნაკლებ 7 კლასისა, კოლმეურნეობაში მუშაობის 3 წლის სტაჟი და ასაკით არანაკლებ 19 წლისა, აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სკოლაში მიღება წარმოებს უგამოცდოდ. სწავლის ხანგრძლივობა — ერთი წელი. სწავლა უფასოა.

სკოლაში მივლინებულმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, პასპორტი ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომის ოქმის ამონაწერი სკოლაში მივლინების შესახებ, ცნობა კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟის და თანამდებობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 სმ.

სკოლაში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით, უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, გათბობა-განათებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რჩევას აძლევს კოლმეურნეობებს დაურიცხონ სკოლაში მივლინებულთ თვეში 20-25 შრომადღე და ყოველთვიურად მისცენ 100 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში.

სკოლაში ჩარიცხვა წარმოებს 25 ოქტომბრამდე.

სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს.

სკოლის მისამართი: ქარელი, ბებნისის საბჭოთა მეურნეობა — სანერგე, მებაღეობის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

**საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1960 წლისათვის** დაიწყო 1 სექტემბერს და გაგრძელდება ჟურნალებზე მიმდინარე წლის 5 ნოემბრამდე, გაზეთებზე 25 ნოემბრამდე.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" და ფოსტის ყველა განყოფილებაში.

„სოიუზპეჩატი"

**ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის** კურსდამთავრებულთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ ყველა წლის დიპლომები მზად არის. მიღება შეიძლება ყოველდღე დღის 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე ინსტიტუტის კანცელარიაში. დიპლომის მიღებისას თან იქონიეთ პასპორტი.


## რადიო

8 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.00 —გადაცემა „სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში", 11.30 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — საბჭოთა კომპოზიტორების პიესები ვალტორნისათვის პოლეზის შესრულებით, 12.45— გლინკას რომანსები. ქ. ყიფიანის შესრულებით, 17.20 — ნაწყვეტები, რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „სადკო", 17.45 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის, 18.05 — ა. ბალანჩივაძის და რ. ლაღიძის კამერული ნაწარმოებები, 18.45 — სავიოლინო პიესები ი. ბეზროდნის შესრულებით, 19.15 — ქართული მუსიკის კონცერტი, 20.20 — გადაცემა „ბულგარელი კომპოზიტორი პანჩო ვლადიგეროვის" ნაწარმოებები, 21.00 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.30 — ლიტერატურული გადაცემა. კალე ბობოხიძის ლექსების კრებული — „ულიანოვსკის დღეები", 22.00 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკის კონცერტი.

## ტელევიზია

8 სექტემბერი

19.30 — გადაცემა, მიძღვნილი ბულგარეთის ეროვნული დღესასწაულისადმი, 19.50 — 140.000 ტონა ჩაისათვის (სტუდიაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე გ. სეხნიაშვილი), 20.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.30 — იუმორისტული გადაცემა — სატელევიზიო დადგმა „მებებია, ილიკო და ილარიონი" (ნაწყვეტები ნ. დუმბაძის იუმორისტული მოთხრობიდან), 21,00 — კინოჟურნალი, 21.20 — უკანასკნელი ცნობები, 21.30 — მხატვრული ფილმი „ჯადოქარი" (მაყურებელთა თხოვნით).


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობის და ტრანსპორტის, აღვილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 05574 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.